# ლელო

№ 17 (11 166)

4 – 6 მარტი, 1998 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ზამთრის XVIII ოლიმპიური თამაშების შემდეგ

## მომავალი ოლიმპიადისათვის მზადება ახლა იწყება, და არა მაშინ, როცა კარს მოგვადგება

ნაგანოში გამართული ზამთრის ოლიმპიური თამაშები, მხოლოდ მედლებისთვის მებრძოლი ქვეყნების თვალთახედვით რომ განვიხილოთ, ეს გრანდიოზული სპორტული ფორუმი მთელი სიგრძე-სიგანით ვერ აღიქმება. მთავარია ის, რომ იგი თავისი შინაარსით მსოფლიო ხალხთა უდიდესი სპორტული დღესასწაულია და მისი ელვარება ჩვენი პლანეტის ხალხთა წარმომადგენლობის სიმრავლეშია. საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, მეორედ გამოდიოდა ზამთრის თამაშებში, მეორედ ვიყავით მთელი მსოფლიოს თვალთახედვის არეში – ბევრისთვის უკვე ნაცნობი, სხვებისთვის აღმოჩენა. ეს არ არის გასაკვირი. ბევრმა სახელმწიფომ, მათ შორის ჩვენმა მეზობლებმა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ზოგიერთმა მთავრობამ, ყველაფერი იღონა, რომ ნაგანოში მათი ქვეყნის დროშაც აღმართულიყო, რომ ოლიმპიელთა მეშვეობით მსოფლიოს გასცნობოდნენ ან თავი შეეხსენებინათ. ამ ქვეყნებს, მართალია, დიდი ჯაფა არ გაუწევიათ ათლეტთა მოსამზადებლად, მაგრამ ის სპორტსმენები გადაიბირეს, რომლებიც თავიანთი ქვეყნის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ, ეს განსაკუთრებით რუსეთიდან წასულებზე ითქმის.

ჩვენებმა საკუთარი შრომა-გარჯით მოიპოვეს ნაგანოში გამოსვლის უფლება. თუმცა, იყო იმის რეალური საშიშროება, რომ გაწეული შრომა, როგორც იტყვიან, წყალში გადაყრილიყო. გვითქვამს და გავიმეორებთ: არ შეიძლება ისეთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე, როგორიცაა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა, თვითდინებაზე იყოს მიშვებული, სულაც, თუნდაც, გულმოწყალე სპონსორთა იმედად რჩებოდეს. არ შეიძლება ფინანსურ მხარდაჭერაზე სახელმწიფო მაშინ დაფიქრდეს, როცა ოლიმპიადები კარს მოგვადგება. აქაოდა, ზამთრის თამაშები 1998 წლის თებერვალში ტარდებაო, ბიუჯეტიდან ხარჯები ამ წლის პირველი კვარტლისთვის (?!) გამოიყო. რა შეიძლება ეწოდოს სახელმწიფო მოხელეთა ასეთ მიდგომას? ოლიმპიადა დამთავრდა, ის საბიუჯეტო თანხა კი დღემდე არ გაცემულა. და თუ გადავრჩით, თუ არ მოვწყდით მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობას და წავედით ნაგანოში, დაე, ყველამ იცოდეს, ეს უპირველესად სპორტის ზამთრის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის გოგი თოფაძისა, სეოკის პრეზიდენტის ჯანსუღ ბაგრატიონის პირადი დამსახურებაა, ნაგანოში არმონაწილეობა კატასტროფის, დასასრულის დასაწყისი იქნებოდა.

ყველასთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ამ ოლიმპიადაზე ჩვენ მედლებისთვის ვერ ვიბრძოლებდით. იმ ქვეყნების სია, ვინც თუნდაც ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, დიდმა ბრიტანეთმა ჩაკეტა – იგი 24-ე იყო. დანარჩენები 72 მონაწილე ქვეყნიდან უმედლოდ დარჩნენ. 30-მდე ქვეყანამ ოცეულში ვერ შეაღწია. ორგზის ოლიმპიელმა ჩვენმა ზურაბ ჯიჯიშვილმა კი მე-14 ადგილი დაიკავა კომბინაციაში, რაც სამთოსათხილამურო სახეობებში საუკეთესოა ზამთრის თამაშების ისტორიაში და საერთოდ საუკეთესო, რაც დამოუკიდებლად ვმონაწილეობთ ოლიმპიურ თამაშებში. როცა მსოფლიოში 13 ათასი სამთომოთხილამურეა რეგისტრირებული და თითოეულს გააჩნია თავისი რეიტინგი, მე-14 ადგილი, მით უფრო ჩვენი პირობების გათვალისწინებით, მიღწევად უნდა მივითვალოთ.

ოლიმპიურ თამაშებში უპირველესი პატივი, როგორც ითქვა, მონაწილეობაა, რაც უფრო და უფრო საოცნებო ხდება მსოფლიოს ბევრი ქვეყნისთვის, თქვენ წარმოიდგინეთ, მათთვისაც, რომლებსაც თოვლიანი არ ეთქმის. სპორტის ზამთრის სახეობები დღეს ყველასთვისაა ხელმისაწვდომი – ხელოვნური თოვლი, ტრასები და ტრამპლინები იძლევა ამის შესაძლებლობას, აღარაფერს ვამბობთ ყინულიან დარბაზებზე. ამ ფონზე ჩვენ ბევრი შეგვნატრის, რადგან ღვთისგან ნაბოძები გვაქვს დიდი სიკეთე. მსოფლიო სათხილამურო სამყარომ იცის ჩვენი უნიკალური ბუნებრივი შესაძლებლობების შესახებ. უკვე სერიოზული საუბარია იმაზე, რომ ჩვენში შეიქმნას სპეციალური ცენტრი, რომელიც აზია-ევროპის ქვეყნების მთელ ჯგუფს მოემსახურება. დღევანდელ პირობებში კი ძალისხმევის გაერთიანებით ნებისმიერი ჩანაფიქრი შეიძლება იქცეს რეალობად. რუსეთი ავიღოთ. ნაგანოში ამ უდიდესი ქვეყნის სპორტული ხელმძღვანელები დაუფარავად აღიარებდნენ, რომ ბაკურიანის დაკარგვით მათ დაკარგეს თამაშების საერთო წარმატების რეალური შანსი. ასე რომ, ჩვენში სპორტის ზამთრის სახეობების ტრადიციების აღდგენა, საკუთარი ინტერესების სფეროს აშკარად სცილდება. ტრადიციების აღდგენა კი მხოლოდ სპორტს როდი გაუწევს სამსახურს. იგი სასიკეთოდ წაადგება ჩვენში საერთოდ ეკონომიკის განვითარებას და კერძოდ, ტურიზმის გამოცოცხლებას. თხილამურებზე დროს ტარების მოყვარულთა ჯგუფები მთელი მსოფლიოდან დაიძრება, რომლებისთვისაც ოცნებაა დადგნენ ახალ სამთოსათხილამურო ტრასებზე, მოინახულონ ახალი ქვეყნები, მთათა მასივები.

ცხადია, განვლილი თამაშებიდან დასკვნების გამოტანა გვმართებს. დეტალებზე არ შევჩერდებით. მთავარი საკითხი, მაინც ალბათ სახელმწიფო პროგრამის შემუშავებაა. ისე, დრო ალბათ მაშინ გავუშვით ხელიდან, როცა ჭადრაკის მსგავსად, სპორტის ზამთრის სახეობების განვითარების პროგრამა არ შემუშავდა და ქვეყნის პრეზიდენტის საგანგებო ბრძანებულება არ მომზადდა. და, მაშინაც დავაგვიანეთ, როცა ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე დავფიქრდით და ზამთრის სახეობები კვლავ გამოგვრჩა მხედველობიდან. იქნებ ახლა მაინც მივუბრუნდეთ ამ საკითხს, გვიან, მაგრამ მაინც...

მომავალში ჩვენ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მხოლოდ მონაწილეობას არ უნდა დავჯერდეთ, ამას არ უნდა შევეჩვიოთ, უფრო სწორად, არ უნდა შეგვაჩვიონ.

ჩვენთან ზამთრის სპორტის სახეობებს ერთი ფედერაცია აერთიანებს, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში კი რამდენიმე დამოუკიდებელი ფედერაციაა სახეობების მიხედვით. იქნებ ამ ნაბიჯმა ჩვენთანაც გაამართლოს.

თენგიზ გაჩეჩილაძე,
ნაგანო-თბილისი

## „მოკლე როქი“ ანუ სვლა, რომლის ჩანაფიქრში ყაიმი მოსჩანს და, იმედია, ქიშში არ გადაიზრდება



**ჟრუანტელივით გაიარა ყველა ჩვენგანში ეროვნულ საჭადრაკო სამყაროში თავჩენილმა დაპირისპირებამ. ქართული ჭადრაკის მომაკვდინებელი ეს სიმპტომები თუ დროულად თავად მოჭადრაკეებმა არ ამოშანთეს, სამარცხვინო დასასრულის დასაწყისი გარდუვალი იქნება.**

ყველაფერი მითქმა-მოთქმით დაიწყო. ამ გაზაფხულის წინ ქართულ საჭადრაკო ცხოვრებაში ისეთი ციებ-ცხელება იყო მოსალოდნელი, ვეღარანაირი მკურნალი ვერ დასვამდა უტყუარ დიაგნოზს. ყველაფერი „დიდ კონსილიუმზე“, მოჭადრაკეთა ყრილობაზე უნდა გადაწყვეტილიყო და ასეც მოხდა, ოღონდ, საკითხავია, რის ფასად? პასუხს ამ კითხვაზე მომავალი გასცემს.

აწ უკვე ყოფილმა ფედერაციის პრეზიდენტმა ვაჟა შუბლაძემ გონივრულად აუღო ალღო სიტუაციას და საკუთარი თავისა და სხვების დასამშვიდებლად აირჩია პრინციპი – „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო“. მართალია, ამ პრინციპმა ზოგიერთები, განსაკუთრებით ჩვენი „დედოფლები“ უსაზღვროდ გააოცა, ვაჟა შუბლაძემ უკან მაინც არ დაიხია. პირდაპირ ვთქვათ: ან კი რა უნდა ექნა, რა უნდა მოემოქმედა კაცს, რომლის ამაგს ასე უცერემონიოდ ჩაწიხლვას უპირებდნენ, რომელმაც იმ ყრილობიდან ამ ყრილობამდე ყველაფერი გააკეთა ქართული ჭადრაკის მსოფლიო ავტორიტეტის ასამაღლებლად, ჩვენი ფედერაცია ანგარიშგასაწევ ორგანიზაციად აქცია მთელი სამყაროსთვის, გააღრმავა პირადი კონტრაქტები... წმინდა სპორტულ წარმატებებზე რომ არაფერი ვთქვათ, სასახელოდ და საამაყოდ ამ კაცს ისიც ეყოფა, რომ ნონა გაფრინდაშვილის პრიზი აჩუქა მსოფლიო საჭადრაკო სამყაროს, ეს ხომ ჩვენც გვეამაყება.

ცხადია, უშეცდომო არავინ არის. ალბათ ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტიც არ იყო რაღაც შეცდომებისაგან და ნაკლისგან დაზღვეული. საოცარი ის არის, რომ სათქმელს ადამიანს მაშინ კი არ ვეუბნებით, როცა პირველად შევნიშნავთ ნაკლს და შეცდომას, არამედ, გულში ჩავიხვევთ და მერე სხვებსაც რომ „აეხილებათ თვალები“ ერთიანი ძალით შევუტევთ ხოლმე. ეს კი

იხ. მე-2 გვ.

## სფფ-ს აღმასკომი მომავალი ყრილობის შესახებ იმსჯელებს

5 მარტს ნოდარ ახალკაცის გარდაცვალებიდან ორმოცი დღე სრულდება, ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ამ თარიღს დაუკავშირეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომის ჩატარება. სხდომაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხი იხილება – ფედერაციის ყრილობის მომზადება და დელეგატების შერჩევა. მოგეხსენებათ, სფფ-ს ოპონენტებს გარკვეული პრეტენზიები ჰქონდათ ამ საკითხში.

აღმასკომზე განიხილავენ აგრეთვე ცვლილებებს დებულებაში (სატრანსფერო პერიოდში გუნდიდან გუნდში გადასულ მოთამაშეს ჩემპიონატში თამაშის უფლება კი ჰქონდა, მაგრამ თასზე ახალ გუნდს ვეღარ ეხმარებოდა. აღმასკომის დადგენილების პროექტით, ახლა ფეხბურთელებს ამის საშუალება მიეცემათ). სხდომაზე აგრეთვე დაამტკიცებენ პირველი ჯგუფის გუნდების მატჩების მსაჯთა სიას.

## შურისძიება უკრაინულად...

შარშანწინ ქართველებმა უკრაინელებს დაასწრეს და დონეცკის „შახტიორში“ მოასპარეზე ფორვარდი მიხეილ ფოცხვერია ახალგაზრდულ ნაკრებში ათამაშეს. არადა, ეს ფეხბურთელი უკრაინელებსაც სათავისოდ უნდოდათ. ცხადია, მათ შურისძიება ეწადათ და, როგორც ვატყობთ, ისინი ახლოს არიან მიზანთან. ჯერ კიდევ დასაზუსტებელი ინფორმაციით, კიევის ცსკა-ში მოთამაშე ვიტალი დარასელია-უმცროსი შეყვანილია უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატთა სიაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უკვე მიაღებინეს უკრაინის მოქალაქეობა.

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ავტოკატასტროფის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე**

**რომან მიმინოშვილი**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ჩვენი ქვეყნის ღვაწლმოსილი პიროვნების, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის**

**რომან მიმინოშვილის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**გაზეთ „ლელოს“ რედაქცია იზიარებს იმ დიდ მწუხარებას, რომელიც გამოიწვია**

**რომან მიმინოშვილის**

**გარდაცვალებამ და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.**

## რონალდო – ნამდვილი სასწაული

**რონალდოზე ბევრი დაწერილა და თქმულა, მაგრამ ფეხბურთის მოყვარულებისთვის მთელს ჩვენს პლანეტაზე მაინც შეუნელებელ ინტერესს იწვევს თანამედროვეობის ამ ყველაზე სახელგანთქმული ფეხბურთელის ყოველი ახალი ინტერვიუ. საუბარი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ გერმანულ ჟურნალ „ფოკუსში“ გამოქვეყნდა და მისი თარგმანი ბონიდან უმალვე მოგვაწოდა გერმანიაში „ლელოს“ კორესპონდენტმა ხათუნა აფაქიძემ.**




**ფოკუსი:** *თქვენ პირველი ფეხბურთელი ხართ, რომელსაც ზედიზედ მეორედ ებოძა „მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის“ წოდება. ალბათ ძალიან გაამაყდით.*

**რონალდო:** სულაც არა. თავს ისე ვგრძნობ, როგორც პროფესიონალი ფეხბურთელი, რომელზეც ბევრს ლაპარაკობენ და არა როგორც საუკეთესო მოთამაშე. რასაკვირველია, ტიტულის მიღებამ ძალიან გამახარა, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ გადაწყვეტილება მწვრთნელებმა მიიღეს. მათ ხომ თავიანთი საქმე კარგად იციან.

**ფ:** *მომავალში რომელი რეკორდის დამყარებას ინატრებდით?*

**რ:** რაგინდ თამამად ჟღერდეს, მაინც ვიტყვი: მინდა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეტი გოლი გავიტანო, ვიდრე ეს ფონტენმა შეძლო 1958 წელს, და, როგორც პელემ, ათასზე უფრო მეტჯერ ავიღო მოწინააღმდეგის კარი. მესამე სურვილიც მაქვს – მესამედ გავხდე წლის საუკეთესო ფეხბურთელი.

**ფ:** *მაინცდამაინც მორიდებული არ ჩანხართ...*

**რ:** ჩემი შედეგებისთვის მე დიდი შრომა მაქვს გაწეული. ამიტომაც, ბუნებრივია, დიდი მიზნების მიღწევა მინდა. თუ ჩემს თავს ვუთხრა: 21 წლისას უკვე ბევრი ფული გაქვს. მეტი რაღა გინდა დადადო?

**ფ:** *დადადო ვინ არის?*

**რ:** მართალია, ჩემი სახელი რონალდო ლუიზ ნაზარიო დე ლიმაა, მაგრამ ოჯახის წევრებისათვის და მეგობრებისთვის ყოველთვის დადადო ვიყავი. ესპანეთში რონი და ე.ტ. შემარქვეს, ამასაც არ ვთაკილობდი, მაგრამ სხვა სახელებს მაინც დადადო მირჩევნია.

**ფ:** *ბრაზილიაში თქვენ პელეს გადარებენ...*

**რ:** ყველა ინტერვიუში ერთი და იგივე: მეტის მოსმენა აღარ შემიძლია. პელე პელეა, რონალდო – რონალდო. პელეს თამაში არასოდეს მინახავს, ის ხომ სულ სხვა თაობის წარმომადგენელია, მაშინ სულ სხვა ფეხბურთს თამაშობდნენ. რა თქმა უნდა, პელე ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეა, რადგან ულამაზესი ბურთები გაიტანა და წარმოუდგენლად კარგი შედეგები ჰქონდა. მაგრამ ის არასოდეს ყოფილა ჩემი იდეალი.

**ფ:** *მაშ ვინ იყო?*

**რ:** ზიკო – ის დიდებული იყო. ბავშვობაში ხშირად მიწუწუნია მამასთან, რათა მარაკანას სტადიონზე წავეყვანე ზიკოს თამაშის საყურებლად. მაშინ „ფლამენგოში“

იხ. მე-3 გვ.

# „მოკლე როქი“ ანუ სვლა, რომლის ჩანაფიქრში ყაიმი მოსჩანს და, იმედია, ქიშში არ გადაიზრდება

*(პირველი გვერდიდან)*

უკვე ბოდმის ზეობაა და არა კეთილმოსურნეობა. სამწუხაროდ, ესეც ქართული ხასიათია.

ვაჟა შუბლაძემ, როგორც ჩანს, ადრევე იგრძნო ზვავის საშიშროება და თავიდანვე, ყრილობის გახსნის პირველი წუთებიდანვე აუწყა შეკრებილთ, რომ აღარ აპირებდა არჩევნებში პრეზიდენტად ხელახლა კენჭისყრას. უმრავლესობა, ცხადია, მაინც თავისას გაიტანდა. ეს უმრავლესობა კი ვაჟთა ამალა იყო. გვერწმუნეთ, ისინი ასე ერთსულოვანი არასგზით არ იქნებოდნენ, რომ არა ერთი გარემოება. ქალები, როგორღაც პრივილეგირებულები აღმოჩნდნენ ვაჟა შუბლაძის მმართველობის წლებში. აქ ჭადრაკის სასახლის მომავალ აქციონირებაში მათი მოსალოდნელი დიდი წილიც იგულისხმება. რა თქმა უნდა, ბევრს არ მოეწონა ეს. „რატომ მათ და ჩვენ არა, ან რატომ ყველას არა?“ უმრავლესობა ხომ ყოველთვის რაღაცით უკმაყოფილოა. ჰოდა, ამ ქალებს შორის, ჭადრაკის სასახლის მომავალ სავარაუდო მეპატრონეთა შორის, ვაჟების ერთი, თუნდაც სულ მცირე გუნდი რომ გარეულიყო, ისინიც გახლეჩილები, ხელცარიელად დარჩენილ სხვა ვაჟებთან დაპირისპირებულები წარდგებოდნენ ამ ყრილობაზე. ესეც იმგვარი ხასიათია, რომელზეც ზემოთ ითქვა. კარგით! ვთქვათ, რაც იყო იყოო. მერე, მერე რა? როგორ შეეთვისებიან ერთმანეთს დაპირისპირებული ქალები და ვაჟები, საერთო საქმის, ქართული ჭადრაკის სასიკეთოდ? უდავოა, რომ ბევრი რამ, შეიძლება ყველაფერიც, დამოკიდებული იქნება ფედერაციის ახალი პრეზიდენტის ზურაბ აზმაიფარაშვილის უნარსა და გონიერებაზე, რისი დემონსტრირებაც მან ხელმძღვანელად არჩევის პირველი წუთებიდანვე დაიწყო – მეორე დღეს უცხოეთში ტურნირებზე მიმავალი ჩვენი მოჭადრაკე ქალებიც გააცილა უცხოეთში და ამ ჯენტლმენურ ნაბიჯს კონკრეტული დაპირებებიც მოჰყოლია. ჩვენ პატივს ვცემთ ყრილობის გადაწყვეტილებას და აქედან გამომდინარე მივესალმებით ახალარჩეულ ფედერაციის ხელმძღვანელობას.

ჭადრაკში ყველა სვლას თავისი მიზანი აქვს. ჩვენი საჭადრაკო სამყაროს სათამაშო დაფაზე გაკეთებული „მოკლე როქიც“ არ არის უმიზნო, მაგრამ ვფიქრობთ, უპირველესი, ჯერჯერობით, „ამ პარტიაში“ ყაიმი – მშვიდობიანი დაზავებაა აუცილებელი, ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ იგი ვინმეს მიმართ ქიშში გადაიზარდოს.

**მიმომხილველი**



# კრებული „ნოდარ ახალკაცი“

დემიკო ლოლაძის ამაგი ქართველ გამოჩენილ ფეხბურთელებზე და მნიშვნელოვან საფეხბურთო მოვლენებზე მასალების შეკრება-გამოცემაში, საყოველთაოდაა ცნობილი. ამ გამოცემების ვრცელ ნუსხას კიდევ ერთი საყურადღებო და, რაც მთავარია, ოპერატიულად გამოცემული წიგნი „ნოდარ ახალკაცი“ შეემატა. ჯერ 40 დღეც არ გასულა ამ შესანიშნავი ადამიანის გარდაცვალებიდან და ყველაფრის ერთად თავმოყრა, რაც ამ დიდ მწვრთნელზე დაწერილა მისივე სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდეგ, ყველაფრის ერთ წიგნად აკინძვა, დიდ გარჯას მოითხოვდა თუნდაც დროის სიმცირის გამო.

დემიკო ლოლაძეს გვერდში დაუდგნენ სფფ-ს ხელმძღვანელები ალექსანდრე ჩივაძე, ნოდარ ანდრიაძე და დავით კვინიკაძე, კარგ ჩანაფიქრს უყოყმანოდ დაუჭირა მხარი ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა რამაზ ხუროძემ, რომელმაც მანამდე დემიკო ლოლაძის ძალისხმევას შეასხა ფრთები – გამოსცა „იამანიძე-60“ და „გივი ჩოხელი-60“. ამ უნივერსიტეტის გამომცემლების ახალგაზრდულმა კოლექტივმა (დირექტორი შურა გრიგოლიშვილი) ავტორთან ერთად მართლაც დღე და ღამე გაასწორა, რომ წიგნი ნოდარ ახალკაცზე დროულად გამოსულიყო.

– ნოდარ ახალკაცზე იმდენი დაწერილა მის სიცოცხლეში და შემდეგაც, რომ გადავწყვიტე ერთად შემეკრიბა, თუმცა ბევრი რამ კიდევ მოსაძიებელი და გამოსაცემია, არც ერთი სტრიქონი არ უნდა დაიკარგოს, რომელიც ისეთ კაცს ეხება, როგორიც იყო ნოდარ ახალკაცი – გვითხრა დემიკო ლოლაძემ, როცა რედაქციაში წიგნის სასიგნალო ეგზემპლარი მოგვიტანა.

წიგნი „ნოდარ ახალკაცი“ უხვადაა ილუსტრირებული.

# ზურაბ აზმაიფარაშვილი – საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი



***ასეთი მღელვარე ყრილობა საქართველოს ჭადრაკის ისტორიას არ ახსოვს. ქვეყნის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებს აზრთა დიდი სხვადასხვაობა და შეხლა-შემოხლა მოჰყვა.***

ყრილობის წინაშე, რომელსაც 134 დელეგატი ესწრებოდა, როგორც წესი და რიგია, საანგარიშო მოხსენებით წარსდგა საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი ვაჟა შუბლაძე. მან ილაპარაკა იმ მიღწევებზე, რომელიც ფედერაციას ჰქონდა არჩევის დღიდან, 1994 წ. 26 მარტიდან. მათ შორის მთავარი იყო ორჯერ (მოსკოვსა და ერევანში) საქართველოს ქალთა ნაკრების მიერ საჭადრაკო ოლიმპიადებში გამარჯვება, მის მიერ ევროპის ჩემპიონობის მოპოვება, ამავე შეჯიბრებებში საქართველოს ვაჟთა ნაკრებში წარმატებით გამოსვლა, არაერთი პირველი ადგილი სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა მსოფლიო და ევროპის პირველობებზე, სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატზე და ა.შ. ცალკე აღინიშნა ჩვენი წამყვანი დიდოსტატის, ზურაბ აზმაიფარაშვილის მიღწევა უკანასკნელ მსოფლიო პირველობაზე, სადაც მან 98 მონაწილეს შორის მეცხრე ადგილი დაიკავა. ამავე დროს პრეზიდენტმა აღნიშნა ფედერაციის მუშაობის ზოგიერთი ნაკლიც და ის, რომ იგი არავითარ შემთხვევაში აღარ აპირებდა ახალი ვადით თავისი კანდიდატურის წამოყენებას.

კამათში გამოსულმა თენგიზ გიორგაძემ, თამაზ კიკიანმა, გიორგი მაჭარაშვილმა, ალექსანდრე ჩხარტიშვილმა (აჭარა), გიორგი ხომერიკმა, მზია ლოლიშვილმა, არჩილ ჯაკობიამ; დიდოსტატებმა თამაზ გიორგაძემ, ლაშა ჯანჯღავამ, მაია ლომინეიშვილმა და სხვებმა წარმატებებთან ერთად აღნიშნეს არაერთი ნაკლოვანებაც. მთელი ამ პერიოდის მანძილზე ფედერაციამ ვერ ჩაატარა ვერც ერთი (!) საერთაშორისო ტურნირი, სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ჩვენი წამყვანი მოჭადრაკეების მზადებას უაღრესად საპასუხისმგებლო შეჯიბრებების წინ, რასაც მოჰყვა სერიოზული მარცხი ქალთა მსოფლიო პირველობაზე, თბილისში და საერთოდ საქართველოში გაჩნდა უამრავი მწვრთნელი, რომელთა კვალიფიკაცია, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვოა. რას და როგორ ასწავლიან, არავინ იცის, რადგან არავითარი კონტროლი არ არსებობს საქართველოში. თუმცა უამრავი გაზეთია, მაგრამ მათთვის ჭადრაკი ან საერთოდ არ არსებობს, ან სრულიად შემთხვევითი პირები წერენ და ა.შ. ფედერაციამ ზურგი შეაქცია ვეტერანებსა და მოყვარულებს, რადგან ჭადრაკის სასახლეში მათთვის საერთოდ ადგილი არ არის!

საერთოდ კი, ფედერაციის მუშაობა ამ 4 წლის მანძილზე დამაკმაყოფილებლად შეფასდა. და დადგა ახალი პრეზიდენტის არჩევის საკითხი.

აი აქ დაიწყო, რაც დაიწყო. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა, ნანა ალექსანდრიამ და ნანა იოსელიანმა კატეგორიულად მოითხოვეს, რომ ვაჟა შუბლაძე კი არ გადამდგარიყო, არამედ, ახალი ვადით გაეგრძელებინა მუშაობა. ამავე დროს დელეგატების უდიდესი ნაწილი სრული თანაგრძნობითა და გაგებით შეხვდა პრეზიდენტის კანდიდატ ზურაბ აზმაიფარაშვილის სამოქმედო პროგრამას, რომელსაც ყველა მოჭადრაკე გაეცნო. ზურაბ აზმაიფარაშვილმა ძირითადად მოიწონა ის, რაც აქამდე კეთდებოდა, მაგრამ დელეგატებს აღუთქვა ყველაფრის გაკეთება ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. ასეთი ნიჭისა და ენერგიის დიდოსტატი (იგი 16 მარტს 38 წლისა ხდება) პირობას იძლევა, რომ ქართულ ჭადრაკს შემდგომი წინსვლა ექნება.

ამ მწვავე ვითარებაში იყო ცდები ყრილობის გარკვეული ვადით გადავადებისა, რათა არსებულ ფედერაციას რწმუნებულები, ვთქვათ, წლის ბოლომდე შენარჩუნებოდა. ეს წინადადება არ გავიდა. მაშინ დიდოსტატ ქალთა ჯგუფმა პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა.

დელეგატებმა ხმების უდიდესი უმრავლესობით საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტად აირჩია დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი.

აი ჩვენი მოკლე ინტერვიუ ახალ პრეზიდენტთან:

● *ბატონო ზურაბ, გილოცავთ პრეზიდენტად არჩევას. თქვენ საქართველოს საჭადრაკო ორგანიზაციამ ალგზარდათ, ჩვენი მოჭადრაკეებისა და გულშემატკივრების სიყვარულით სარგებლობთ და არავის აეჭვებს, რომ ყველაფერს გააკეთებთ ქართული ჭადრაკის შემდგომი წინსვლისათვის.*

— დიდი მადლობა.

● *ერთი კითხვა, რომელიც ყველას აღელვებს. თქვენ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი დიდოსტატი ბრძანდებით. ახალი, ამჯერად უკვე ადმინისტრაციული თანამდებობა ხელს ხომ არ შეუშლის თქვენს საჭადრაკო პრაქტიკას?*

— არა, არ შეუშლის. შემიძლია დავასახელო სხვადასხვა ქვეყნის დიდოსტატები, რომლებიც ასეთივე მოღვაწეობას ეწევიან. გარდა ამისა, როგორც მოგეხსენებათ, მე მაინცდამაინც ბევრს არ ვთამაშობ, სულ — 30-40 პარტიას წელიწადში. ამას დასჭირდება, ვთქვათ, სამი თვე. ამდენი ხნით ხომ ადრინდელი პრეზიდენტიც არ იმყოფებოდა თბილისში.

● *და კიდევ ერთი: დღეს დარბაზში დაძაბული ვითარება იყო.*

— მერწმუნეთ, პიროვნულად არასოდეს არავის დავპირისპირებულვარ. თუ კამათი მქონდა ზოგიერთ ცალკეულ სპეციფიკურ საკითხზე, ეს ხომ გარდუვალია. ასეთი კამათი და აზრთა სხვადასხვაობა შემდეგშიც იქნება. რაც შეეხება ჩვენს სათაყვანებელ ქალ დიდოსტატებს, მე სხვებზე ნაკლებად როდი მესმის მათი დამსახურება, თუ რა გაუკეთეს მათ საქართველოს. ამიტომ მათთან საერთო ენა უნდა გამოინახოს.

● *ამას, იმედია, მივაღწევთ. ახლა კი ტრადიციულად ვთქვათ: ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება.*

— გმადლობთ.

**ბივი ბამრეკელი**

## ევროპის 1999 წლის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატი ● შესარჩევი ტურნირი

# დაღმასვლა, როდემდის?



თქმა არ უნდა, ამ მარცხს ველოდით — ევროპის ვიცე-ჩემპიონი საქართველოს ნაკრებთან მატჩში იმდენად თავდაჯერებული იყო, რომ მოედანზე წამყვანი კალათბურთელების გარეშე გამოვიდა: მაიერსი და ფუჩკა დაასვენეს და ასპარეზი ახალგაზრდებს მისცეს. მიუხედავად ამისა, იტალიელებს არ გასჭირვებიათ, მათ ძალზე იოლი გამარჯვება მოიპოვეს — 90:43. სიენაში ქართველები კიდევ უფრო დასუსტებული შემადგენლობით ჩავიდნენ: ლატვიასთან მხოლოდ ქარაბაკი და ნაცვლიშვილი გვაკლდნენ, აპენინებზე მათ ჩხეიძე და სტეფანიაც დაემატათ. ასეთ შემთხვევაში ბრძოლის სიმძიმე ახალგაზრდა, გამოუცდელ კალათბურთელებზე გადავიდა და აკი გასაკვირიც არაა, რომ მათ ასეთი სხვაობით დათმეს მატჩი.

მაშ ასე, ამოიწურა ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირის პირველი წრე. სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

**A ჯგუფი**

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 4 | 1 | 398:360 | 9 |
| გერმანია | 4 | 1 | 361:355 | 9 |
| საბერძნეთი | 3 | 2 | 392:344 | 8 |
| ბულგარეთი | 3 | 2 | 386:391 | 8 |
| ბელგია | 1 | 4 | 347:375 | 6 |
| სლოვაკეთი | 0 | 5 | 347:406 | 5 |

**B ჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 5 | 0 | 491:347 | 10 |
| მაკედონია | 4 | 1 | 387:353 | 9 |
| უნგრეთი | 3 | 2 | 367:340 | 8 |
| პოლონეთი | 2 | 3 | 366:414 | 7 |
| პორტუგალია | 1 | 4 | 361:419 | 6 |
| რუმინეთი | 0 | 5 | 287:433 | 5 |

**C ჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 5 | 0 | 429:313 | 10 |
| ისრაელი | 4 | 1 | 384:351 | 9 |
| უკრაინა | 2 | 3 | 384:348 | 7 |
| ინგლისი | 2 | 3 | 237:281 | 7 |
| დანია | 1 | 4 | 324:385 | 6 |
| ბელარუსი | 1 | 4 | 310:418 | 6 |

**D ჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბოსნია | 5 | 0 | 434:293 | 10 |
| ხორვატია | 4 | 1 | 388:344 | 9 |
| ლიტვა | 3 | 2 | 398:346 | 8 |
| ჰოლანდია | 2 | 3 | 389:411 | 7 |
| ესტონეთი | 1 | 4 | 408:449 | 6 |
| ისლანდია | 0 | 5 | 391:465 | 5 |

**E ჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იტალია | 5 | 0 | 434:332 | 10 |
| თურქეთი | 4 | 1 | 393:334 | 9 |
| ჩეხეთი | 3 | 2 | 371:378 | 8 |
| შვედეთი | 2 | 3 | 398:421 | 7 |
| ლატვია | 1 | 4 | 408:407 | 6 |
| საქართველო | 0 | 5 | 332:424 | 5 |

როგორც ვხედავთ, მიმდინარე საკალათბურთო სეზონი ქართული კლუბებისა და ნაკრები გუნდებისთვის მეტად უიღბლო გამოდგა — საერთაშორისო არენაზე, ფაქტობრივად, წავაგეთ ყველაფერი, რისი წაგებაც შეიძლებოდა, არც ეროვნულ ჩემპიონატზე ითქმის დაძაბული და საინტერესოა. სამაგიეროდ, მატჩი არ გავა ჩხუბისა და აყალ-მაყალის გარეშე. როდემდის?

## სპორტლოტოს შედეგები

**1 მარტს გაიმართა ლატარია „სპორტლოტო 5-36“-დან გათამაშების მე-9 ტირაჟი, დაშვებული იყო 5528 ვარიანტი. მოგებახვედრილი ციფრები:**

**9, 31, 16, 18, 11**

5 ციფრი ვერავინ გამოიცნო; 4 ციფრის ამოცნობისათვის (2 ვარიანტი) 103.60 ლარი. 3 ციფრის ამოცნობისათვის (82 ვარიანტი) — 3.40 ლარი. მოგებები განაღდდება 4 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით.

მე-10 ტირაჟისათვის, რომელიც გაიმართება 8 მარტს, „ჯეკ-პოტი“ შეადგენს 7874 ლარს, ამასთან ერთად გამარჯვებულს ელოდება გერმანიაში მოგზაურობა.

მე-9 ტირაჟის დროს გაიმართა მომენტალური-ლატარია „ოლიმპის“ „77“-ზე დაბოლოებული, მოგებისგარეშე ბილეთების გათამაშება, სადაც გამარჯვებულებს წილად ხვდათ შემდეგი პრიზები: ვიდეომაგნიტოფონი JVC. ბილეთის ნომერი 035577 (ქ. გორი); ტელევიზორი „სუპერსონიკი“ — 069077 (ლანჩხუთი); სპორტული კომპლექტი: (ჩანთა, სპორტული ფორმა) — 198577 (ქ. ქუთაისი); ფოტოაპარატები: — 144177 (კასპი), 163777 (კასპი), 079077 (ქ. თბილისი), 002277 (ქ. ქუთაისი), 199177 (ქ. თბილისი), 078577 (საგურამო); ტელეფონები: 147077 (ქ. თბილისი), 037277 (ქ. გორი), 037?77 (ქ. გორი), 043177 (საჩხერე), 195577 (ქ. ფოთი), 188877 (გორი).

მოგებული ბილეთების მფლობელებმა მიაკითხონ საქართველოს სპორტის ეროვნულ ფონდს ქ. შარტავას ქ. №40.

**გიწვევთ ტრადიციული სპორტული ლატარიების გათამაშებაში. წარმატება მხოლოდ თქვენს არჩევანზეა დამოკიდებული.**

**საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი**

# „8 მარტის“ ტურნირზე

დღეს ბელგრადში იწყება ქალთა პოპულარული ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. იგი, როგორც მოგეხსენებათ, ყოველწლიურად ტარდება და ქალთა საერთაშორისო დღეს, 8 მარტს ეძღვნება. მასში ამჯერად 10 დიდოსტატი მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, რომელსაც ადრე ბელგრადში არაერთგზის გაუმარჯვია. მისი მეტოქეები იქნებიან პია კრამლინგი (შვეცია), ჯუ ჩენი (ჩინეთი), ანტუანეტ სტეფანოვა (ბულგარეთი), ალისა მარიჩი, ნატაშა ბოიკოვიჩი (იუგოსლავია), ჩინელი პენგი, რომელიც ახლა ჰოლანდიის სახელით გამოდის, უკრაინელი ტატიანა ვასილევიჩი, სვეტლანა მატვეევა და სვეტლანა პრუდნიკოვა (ორივე — რუსეთი). შეჯიბრება 13 მარტამდე გასტანს.

# ლინარესის სუპერტურნირზე

***მსოფლიოს 7 უძლიერესი დიდოსტატის ორწრიანი ტურნირი ლინარესში (ესპანეთი) წლევანდელი საჭადრაკო სეზონის ერთ-ერთი ცენტრალური ღონისძიებაა.***

მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვს, როგორც ცნობილია, კარგა ხანია არსად უთამაშია. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მისმა შეხვედრამ ინდოელ ანანდთან, რომელიც იანვარში მეორე იყო გრონინგენსა და ლოზანაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატში. ანანდმა შავებით მოულოდნელად აირჩია კარო-კანის დაცვა, რომელიც აქამდე არ შედიოდა მის სადებიუტო რეპერტუარში. შუა თამაშში კასპაროვმა ეფექტური მანევრებით მეტოქე მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ეტლით შეიჭრა მის განლაგებაში და გაიმარჯვა. ყველა დანარჩენი პარტია კასპაროვმა ყაიმით დაასრულა. პეტრე სვიდლერთან, ვასილი ივანჩუკსა და ვესელინ ტოპალოვთან.

5 ტურის შემდეგ ტურნირს 4 ლიდერი ჰყავდა. გარი კასპაროვმა, ვლადიმირ კრამნიკმა, ვიში ანანდმა და ალექსეი შიროვმა 2,5-2,5 ქულა მოაგროვეს 4-4 პარტიის შემდეგ. ამდენივე მოაგროვა პეტრე სვიდლერმა 5 პარტიის შემდეგ, ვასილი ივანჩუკმა — ერთნახევარი ქულა ხუთიდან, ვესელინ ტოპალოვმა — ქულა ოთხიდან.

# გამარჯვება მხოლოდ ურთიერთპატივისცემითა და თანაგრძნობით იჭედება

**მერანი 91 — გუნდი, რომელიც წინა საფეხბურთო სეზონის აღმოჩენად იქცა, მე-9 ეროვნულ ჩემპიონატში მრავალი პრობლემის წინაშე დადგა. შეიცვალა უფროსი მწვრთნელი, მთელმა რიგმა წამყვანმა მოთამაშეებმა სხვა კლუბებს მიაშურეს, რის გამოც „მერანი“ ადრინდელი ძლიერებით ვეღარ ბრწყინავდა პირველ წრეში, მაგრამ გუშინწინ გამართულ გუნდის კრებას ისეთი ლეიტმოტივი გასდევდა, რომ ტრანსპორტელთა გუნდი კვლავ დიდი ამბიციებითაა შეპყრობილი.**

კრებას „მერანის“ პრეზიდენტი ნუგზარ ნავაძე ხელმძღვანელობდა. და პირველი სიტყვა მთავარ მწვრთნელს, ჯონი ჯანელიძეს მისცა: „მერანში“ რომ მომიწვიეს გადაწყვეტილება უცბად არ მიმიღია, რადგან ამ კლუბმა წინა სეზონში მაღალი შედეგები მოიპოვა და აქედან გამომდინარე დიდი პასუხისმგებლობაც გახლდათ აქ მუშაობა. მიღწეულის შენარჩუნება ძალიან ძნელია, თანაც ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად ცოტა დრო გვრჩებოდა. „მერანის“ გამოსვლა პირველ წრეში თავისი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებით იყო განპირობებული — შუა სეზონიდან გუნდი დატოვეს კვარაცხელიამ, გაბისონიამ, ქორიძემ. პირველი წრის შემდეგ მათ სიდამონიძეც მიჰყვა. შედეგი მარტო მწვრთნელზე არაა დამოკიდებული, რადგან საქმე ფეხბურთთან გვაქვს. დღეს კი, მთლიანობაში „მერანის“ მდგომარეობას სავალალო არ ეთქმის, მაგრამ თუ ქულებს გადავხედავთ, სიტუაცია სავალალოზე სავალალოა — 24-ის ნაცვლად 19 ქულა გვაქვს. იმ ხუთი ქულის დაკლება ჩვენთვის ყველასთვის ჭკუის სასწავლებელი უნდა გახდეს...

გუნდში დავიმატეთ მიხეილ მესხი („დინამო -2“), დიმიტრი აბაზაძე, ირაკლი კაპანაძე (ორივე — „მორკინალი კოდაკო“), გიორგი მაზანიშვილი („ლოკომოტივი“), მირიან გეწაძე („ტორპედო“), ვლადიმერ ღუდუშაური (რუსეთის „კოლომნა“), ავთო ხორხელი (3 წელი უგუნდოდ იყო). ჩავატარეთ საკონტროლო მატჩები თსუ-სთან (3-2), თბილისის „დინამოსთან“ (2-0), შსს აკადემიასთან, ახლა კი მალთაყვაში მივდივართ შეკრებაზე. იქ ნორმალურად მომზადებისთვის ყველა პირობაა შექმნილი — კვება, შუქი, გათბობა, ცხელი წყალი. მოკლედ, საქართველოს კვალობაზე „მერანის“ ფეხბურთელებს, ნორმალური პირობები გაქვთ, ხოლო თუ თბილისის „დინამოს“ მსგავს პირობებს ითვალისწინებთ, მაშინ კეთილი ინებეთ და „დინამოს“ ფეხბურთელებს ოსტატობით გაუთანაბრდით. გუნდში იდეალური დისციპლინაა აუცილებელი და


ნუგზარ ნავაძე

თუ ფეხბურთელი ამ პრინციპს არ შეეგუება, პირველივე მატარებლით უკან გამოვაბრძანებ. გამარჯვება ურთიერთპატივისცემითა და თანაგრძნობით იჭედება. ერთდღიანი ხალხი არ მჭირდება. ფეხბურთელი მინიმუმ ერთი წელი უნდა იყოს ჩემთან, რომ რამე ვასწავლო და გუნდი შევქმნა.

ახლა, რაც შეეხებათ გოგიტიძესა და ცქიფურიშვილს. მათ, როგორც იცით, თვითნებურად მიატოვეს გუნდი და ოდესის „ჩერნომორეცში“ გასასინჯად გაეშურნენ. გოგიტიძეს კონტრაქტი უმთავრდებოდა „მერანთან“ და მის საქციელს, ასე თუ ისე, შეიძლება რაღაც გამართლება ჰქონდეს, მაგრამ ცქიფურიშვილზე არავითარი გამამართლებელი ფაქტორი არ არსებობს. ის არც მე და არც გუნდს პატივს არ სცემს.

**ნუგზარ ნავაძე:** „მეორე წრე ჯონი ჯანელიძისათვის უფრო პრინციპული და საპასუხისმგებლო იქნება, რადგან საკმაო დრო გავიდა და შედეგის მოთხოვნაც შეგვიძლია. „მერანი“ ერთი წლის გუნდი არაა და ახლაც საპრიზო ადგილისთვის ვიბრძოლებთ — როცა მოგებისთვის გუნდს 3 ქულა ემატება, ამისი შანსი და შესაძლებლობები ნამდვილად გვაქვს.

ჯონი ჯანელიძემ თხოვნით მოგვმართა, პრემიებს მე გავუნაწილებ ფეხბურთელებს მათი დამსახურებების მიხედვითო. ეს მეტად სერიოზული და საპასუხისმგებლო ფაქტორია, ასეთ დროს ასი თვალი და ასი ყურია საჭირო. ჩვენ ჯანელიძეს დავთანხმდით, ნდობა გამოვუცხადეთ და ამიერიდან პრემიებს მთავარი მწვრთნელი გასცემს თავისი შეხედულებისამებრ.

ჩვენ არავინ მოგვიტყუებია, პრემია და ხელფასი ყოველთვის დროულად გაგვიცია. რაც „მერანი-91“ შეიქმნა არც მე, არც კლუბის დამფუძნებლებს და სპონსორებს ერთი თეთრიც არ წაგვიღია ოჯახებში კლუბიდან. ის ხალხი, ვინც დღეს გუნდს ინახავს, შინ მისატან ფულს „მერანისთვის“ დებს. განა კლუბს არა აქვს იმის უფლება, რომ ფეხბურთელის ტრანსფერში ფული მოითხოვოს? ძალიან ნაწყენი ვართ გოგიტიძეზე და განსაკუთრებით ცქიფურიშვილზე. გოგიტიძე გუნდში დარჩება, მაგრამ საშინაო მატჩების პრემიებს ვეღარ მიიღებს. ცქიფურიშვილს კი ტრანსფერზე დავაყენებთ, კონტრაქტის დამთავრებამდე, ხელფასს არ შევუწყვეტავთ, მაგრამ ბურთს არ გავაკარებთ“.

ამის შემდეგ სიტყვა გუნდის კაპიტანმა დავით ჯიშკარიანმა აიღო და ფეხბურთელების სახელით მოითხოვა ეპატიებინათ ცქიფურიშვილისათვის, ფაქტობრივად, ანალოგიური სიტყვით გამოვიდა მერანელთა მეკარე ვეფხია გვენცაძე...

**ჯონი ჯანელიძე:** მე მეგობრებაც ვიცი და ყველაფერი... მაგრამ, როცა ცქიფურიშვილი არაფრად მაგდებს, მის მიმართ როგორი დამოკიდებულება უნდა მქონდეს? ამ ფაქტის უკან მარტო ცქიფურიშვილი არ დგას. როცა „მერანისთვის“ ახალი ფეხბურთელების შერჩევის პროცესი მიდიოდა, ვიღაცვიღაცეები ბავშვების (ფეხბურთელების) მშობლებს ეუბნებოდნენ: თქვენი შვილი აჰ გათახსირებულ ჯონისთან არ მიიყვანოთო, „მერანში“ რა გინდათო. არ დავუშვებ, რომ ვიღაცას ჰეგემონია ჰქონდეს ჩემს გუნდში და ხელებს აფათურებდეს. ცქიფურიშვილმა იმდენჯერ გამოიჩინა უპასუხისმგებლობა და უპატივცემულობა, რომ რა გარანტია გვაქვს თამაშს არ გაგვიყიდის?

**ნუგზარ ნავაძე:** „ბევრი რამ ჯერ არ თქმულა, მაგრამ ამის დროც მოვა. ის კაცი, რომელიც ცქიფურიშვილის უკან დგას, „მერანში“ ყოფნის დროსაც „ურევდა“ გუნდში. მე უტყუარი ინფორმაცია მაქვს, თუ როგორ მოხდა ცქიფურიშვილის ოდესაში გამგზავრება. თუ ცქიფურიშვილი ოფიციალურად იტყვის ყველაფერს და მისი ნათქვამი ჩემს ხელთ არსებულ ინფორმაციას დაემთხვევა, მაშინ შესაძლებელი გახდება პატიებაზე ლაპარაკი“.

ასე რომ, მერანელთა კრებამ გულახდილ და პრინციპულ ატმოსფეროში ჩაიარა. იმ არასასიამოვნო მოვლენებმა, რომლებთაც თავი იჩინეს ტრანსპორტელთა გუნდში, იმედია, სწორი შეფასება ჰპოვა და სამომავლოდ ალბათ იმ ვიღაც-ვიღაცეების ხელის ფათურსაც მოევლება.

მაშ, FAIR PIAY, ბიჭებო!

დათო თავართქილაძე

# „დინამო“ სამი ფორვარდით ათამაშდა

**28 თებერვალს, ნაშუაღამევს, ჩვენი ქვეყნის უცვლელი ჩემპიონი თბილისის „დინამო“ ბელგიური შეკრებიდან დაბრუნდა, მეორე დღეს კი დიღმის ბაზაზე მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი უნდა შეხვედროდა ჟურნალისტებს, რათა მოეთხრო როგორ მზადყოფნაში ხვდება გუნდი საფეხბურთო სეზონის მეორე ნახევარს.**

თუ გახსოვთ, ბელგიაში გამგზავრებამდე ჩატარებულ პრესკონფერენციაზე ყიფიანმა იხუმრა — „დინამოს“ საზღვარგარეთ იმდენი სელექციონერი ელოდება, შეიძლება ისე მოხდეს, უკან მხოლოდ მე დავბრუნდეო. სინამდვილეში, საპირისპიროდ მოხდა — თბილისში უკლებლივ ყველა ჩამოვიდა, მთავარი მწვრთნელის გარდა: იგი ჰოლანდიაში ჩავიდა უეფას თასზე „აიაქსი“-„სპარტაკის“ მატჩზე დასასწრებად.

ასე რომ, ბელგიური შთაბეჭდილებების შესახებ ინფორმაციის მიღება უშუალოდ ფეხბურთელებისაგან მოგვიწია. დინამოელებს შეკრებაზე მეტად პროდუქტიულად უმუშავიათ. ისინი დღეში ორჯერ, ზოგჯერ სამჯერაც ვარჯიშობდნენ. ცხადია, ასეთი დატვირთვის დროს საკონტროლო მატჩების ჩატარება მეტად ძნელი იყო, მაგრამ ყიფიანი მთავარ ამოცანად შედეგს კი არა, უშუალოდ წვრთნის პროცესს აქცევდა ყურადღებას. სასიხარულოა, რომ „დინამოს“ ძირითად შემადგენლობას საკმაოდ კარგად შეერწყნენ ახალბედები. გუნდი სამი ფორვარდით (ხომერიკი, აშვეთია, წიტაიშვილი) თამაშობდა — ეტყობა ამ ტაქტიკამ გაამართლა: ფორვარდები მაღალი შედეგიანობით გამოირჩეოდნენ.

უფრო ვრცლად, შეკრების შედეგებზე ყიფიანის დაბრუნების შემდეგ გიამბობთ.

## აფრიკის ეროვნებათა თასი

# გამარჯვებულებს ქაიროში ქვეყნის პრეზიდენტიც დახვდა

**ისეთი შთაბეჭდილება იყო, იმ დღეს ქაიროს აეროპორტში მთელმა ქვეყანამ მოიყარა თავი.** ვის არ ნახავდით იქ — ქვეყნის პრეზიდენტს, მთავრობის წევრებს, გულშემატკივართა მრავალათასიან არმიას. ყველა ისინი ერთმა სასიხარულო გარემოებამ შეჰყარა — სადაა ბურკინა-ფასოს დედაქალაქ უაგადუგუდან უნდა ჩამოფრენილიყო თვითმფრინავი, რომელშიც ეგვიპტის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები იხდნენ...

1990 წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლის შემდეგ, ეგვიპტური ფეხბურთის საქმეები უკან-უკან წავიდა. საბედნიეროდ, კრიზისი დაძლეულია — ეს აფრიკის თასის წლევანდელმა გათამაშებამ გვიჩვენა. ეგვიპტის ნაკრები უთუოდ უძლიერესი იყო ამ ტურნირზე. განსაკუთრებით კარგად „ფარაონებმა“ ფინალურ მატჩში ითამაშეს.

ეგვიპტე-სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა 2-0.

*ეგვიპტე:* ელ საედი, ომარა, იბრაჰიმი, რამზი, აბდელჰადი, ელ საკა, რადვანი, იმამი (საბრი), მუსტაფა (ნაბიჰი), ჰასანი, ჰოსამი.

*სამხრეთ აფრიკა:* ბალუი, რაბუტლა, ჯეკსონი, ფიში, რადებე, მკალელე, მოშოუ, ავგუსტინი (ფორტუნი), მოეტი, მასინგა (ნდლენია), მაკართი.

*გოლები:* ჰასანი (5), მუსტაფა (13)

ყველაფერი მატჩის დასაწყისშივე გადაწყდა. ჯერ შორიდან ჰასანმა აულებელი ბურთი დაურტყა ბალუის, მერე კი მუსტაფამ მარცხენა ფრთიდან, მახვილი კუთხით მეორეც შეაგდო.

ტურნირის ბომბარდირებიც ფინალისტთა შორის იყვნენ — ეგვიპტელმა ჰასან ჰოსამიმ და სამხრეთაფრიკელმა ბენი მაკართიმ 7-7 გოლი გაიტანეს.

# რა უშლის ხელს ჰაინკესს?!

მადრიდის „რეალის“ მოთამაშეთა ჩამოთვლამაც კი შეიძლება ნებისმიერი გუნდი შეაშინოს. ცხადია, მხოლოდ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებზე ვილაპარაკებთ, ამასთან, მოდით თვით ესპანელები... გამოვტოვოთ. ამრიგად, სამეფო კლუბში თამაშობენ გერმანელი ილგნერი, იტალიელი პანუჩი, პორტუგალიელი სეკრეტარიო, ბრაზილიელები რობერტო კარლოსი, ზე რობერტო, სავიო, ჰოლანდიელი ზეედორფი, არგენტინელი რედონდო, ფრანგი კარამბიუ, იუგოსლავი მიატოვიჩი, ხორვატი შუკერი.

ერთი სიტყვით, მადრიდის „რეალი“ მთლიანად ვარსკვლავების გუნდია, რომელშიც 10 (!) ნაკრების მოთამაშე შედის. თითოეული ვარსკვლავი თავისებური ბუნების, ხასიათის, ზოგჯერ საკუთარ თავზე შეყვარებული (ე.წ. „ნარცისიზმით“ დაავადებული) ადამიანია. ყველას განსაკუთრებული მიდგომა და გაგება უნდა. გუნდის მწვრთნელი გერმანელი იუპ ჰაინკესი აცხადებს, რომ ყველასთან გამონახა საერთო ენა, ყველას უგებს და ყველას ინტერესებს ითვალისწინებს.

თუ „რეალის“ თამაშს შევაფასებთ, ამის თქმა ძალიან ძნელია. ამდენი ნაკრების ფეხბურთელთაგან ჰაინკესმა შეკრული გუნდის შექმნა ვერა და ვერ შეძლო. ამიტომაც პრაქტიკულად გადაწყვეტილია მისი განთავისუფლება. გერმანელს, როგორც ამბობენ, არიგო საკი შეცვლის. თუმცა არავინ იცის, რას გახდება იგი ამდენ ჭირვეულ ვარსკვლავთან.

# რონალდო – ნამდვილი სასწაული

(პირველი გვერდიდან)

თამაშობდა. ჩემს საყვარელ გუნდში. ზიკო ბურთს ისე ფაქიზად ექცეოდა, როგორც ჩვილ ბავშვს.

**შ:** ***კიდევ ვისი თაყვანისმცემელი ხართ?***

**რ:** აირტონ სენასი — ის უდიდეს სპორტსმენად დარჩება ისტორიაში. აირტონი ნამდვილი გმირი იყო, მე კი მხოლოდ განთქმული ვარ. ის ხომ ყველა ბრაზილიელის სიამაყის საბაბი იყო და უამრავი რამ გააკეთა ჩვენი ქვეყნისთვის. შესაძლოა გოლების წყალობით მეც შემწევს ხალხისთვის სიხარულის მოტანა, მაგრამ აირტონს განსაკუთრებული მიმზიდველობა და ხასიათი ჰქონდა. ამასთან, დიდი ქველმოქმედი იყო. არასდროს გავრისკავ მას შევედარო. ის ხომ ისეთი უნაკლო იყო, არავის ახსოვს მისი კრიზისები და სკანდალები.

**შ:** ***სხვათა შორის, თქვენი გულშემატკივრებიც მხოლოდ დადებითად გახასიათებენ...***

**რ:** ბავშვობაში მორცხვი და გაუბედავი ვიყავი. სისულელეები არასდროს ჩამიდენია. ხანდახან ჩემს ძმასთან ერთად წვეულებაზე მივდიოდი, თუმცა, ხშირად, წვეულების დროს ოთახის წყნარ კუთხეში ჩამძინებია, დისკოშიც იშვიათად შევივლიდი.

**შ:** ***მგონი თქვენი ცხოვრების თანამგზავრი იქ გაიცანით.***

**რ:** მართალია. სუზანა ვერნერი დისკოში გავიცანი. ეს ერთი ნახვით შეყვარება იყო. ის გერმანული წარმოშობისაა. მუშაობს როგორც მოდელიორი და მსახიობად. სხვათა შორის, სუზანა რიოს „ფლუმინენზეს“ წევრია და ფეხბურთს საკმაოდ კარგად თამაშობს, მაგრამ წელს საფეხბურთო კარიერას თავს ანებებს.

**შ:** ***რატომ?***

**რ:** ახლა საიდუმლოს გაგიმხელთ, რომელიც მხოლოდ ჩემმა ოჯახის წევრებმა და უახლოესმა მეგობრებმა იციან — 19 აგვისტოს დავქორწინდებით. შემდეგ კი მილანში გვაქვს გადაწყვეტილი ცხოვრება.

**შ:** ***და მალე ალბათ საბავშვო ეტლით ისეირნებთ...***

**რ:** შესაძლებელია. მეც და სუზანასაც ძალიან გვიყვარს ბავშვები. რატომაც არ უნდა მოევლინოს ქვეყანას პატარა რონალდინო?

**შ:** ***საქორწილო საჩუქრად სუზანასათვის მსოფლიო თასის მირთმევას აპირებთ?***

**რ:** რასაკვირველია, გამარჯვება მინდა. ოთხი წლის წინათ ამერიკაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდის შემადგენლობაში ვიყავი. მაგრამ არ მითამაშია. ამჟამად კი არც ერთი წამი არ მინდა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა. ჩემი აზრით, ჩვენი დამარცხება არც ისე ადვილი იქნება, მით უმეტეს, რომ ჯიოვანე ელბერიც გუნდშია.

**შ:** ***რატომ დააგვიანა ამდენ ხანს ელბერის ამ შანსმა?***

**რ:** მე მის თამაშზე ყოველთვის საუკეთესო წარმოდგენა მქონდა. შტუტგარტსა და მიუნხენში მისი თამაში, მსოფლიო კლასის მოთამაშის დარი იყო. ჩვენს მწვრთნელს კი კარგა ხანია ერთი პრობლემა აქვს, კერძოდ, — ბრაზილიაში მოთამაშე მაღალი კლასის თავდამსხმელებს შორის სწორი არჩევანი. გერმანიაში ჩატარებული თამაშები ჩვენი ტელევიზიით იშვიათად თუ გადაიცემა. ამიტომაც არ შეეძლო ზაგალოს ელბერის თამაშზე რეგულარული ინფორმაციის მიღება.

**შ:** ***ეხმარებოდით ზაგალოს მოთამაშეთა შერჩევაში?***

**რ:** დიახ, ყოველთვის ელბერზე მივუთითებდი ხოლმე. სხვათა შორის, ბეკენბაუერმაც იგივე ურჩია. ჩემი აზრით, მსოფლიო ჩემპიონატისთვის ახლა საუკეთესო თავდასხმა გვყავს.

**შ:** ***რონალდო, რომარიო, ელბერი გყავთ მხედველობაში?***

**რ:** დიახ. თუმცა გერმანელი თავდამსხმელებიც ძალიან სახიფათონი არიან.

**შ:** ***გერმანელებზე ინფორმაციას საიდან ფლობთ?***

**რ:** იტალიაში ბირჰოფი და ციგე, ორი ძალიან მაღალი კლასის და ცნობილი ფეხბურთელები თამაშობენ. კლინსმანზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. თუ ეს სამი ფეხბურთელი საფრანგეთისთვის კარგ ფორმაში იქნება, მაშინ გერმანიის გუნდიც ტიტულის მოპოვების შესაძლო კანდიდატთა რიცხვში იქნება.

**შ:** ***დანარჩენ კანდიდატებზე რას გვეტყოდით?***

**რ:** იტალია, ინგლისი და საფრანგეთიც — როგორც მასპინძელი ქვეყანა შესაძლო ფავორიტებად მიმაჩნია.

**შ:** ***მოწინააღმდეგეთა უხეში თამაშის ხომ არ გეშინიათ?***

**რ:** არა, ამის შიში არა მაქვს, რადგან ჰოლანდიაში, ესპანეთსა და იტალიაში საკმაოდ კარგი სკოლა გავიარე. უხეში მოცელვა აღარ მაშინებს. მე ხომ ძლიერი აღნაგობა მაქვს და სწრაფად დავრბივარ. გარდა ამისა, ფიფაც არ დაუშვებს აკრძალული მეთოდების გამოყენებას.

**შ:** ***თქვენ ადვილად ტრავმირებად მოთამაშედ გთვლიან.***

**რ:** არ არის სწორი. მხოლოდ ერთხელ მქონდა მუხლის ტრავმა, რომელიც მასმედიამ ზედმეტად გაბერა. მე კი ოპერაციის შემდეგ ისევ საუკეთესო ფორმაში ვარ და ამის შემდეგ არც სერიოზულად დავშავებულვარ. რადგან ასეთი ძვირადღირებული მოთამაშე ვარ, სწორედ ამიტომ ვიხდით მე და ჩემი კლუბები ამხელა თანხებს ჩემი ფეხების დაზღვევისათვის. მაგალითად (FC) ბარსელონა 35 მილიონ დოლარს მიიღებდა. მე რომ ტრამვის შედეგად დავინვალიდებულიყავი.

**შ:** ***კარიერის დასასრულზე ხომ არ გიფიქრიათ?***

**რ:** ხომ ვთქვი, ჯერ მხოლოდ 21 წლისა ვარ, ამ ასაკში კი ფეხბურთთან განშორებაზე არ ფიქრობენ. არა, არა, 35 წლამდე მაინც ვითამაშებ და ერთ-ორ რეკორდს მაინც კიდევ დავამყარებ.

რიკარდო სეტუონი.

გერმანულიდან თარგმნა
ხათუნა აფაქიძემ



**რონალდო ლუიზ ნაზარიო დე ლიმა**

დაიბადა 22.IX. 1976 წელს ბენტო რიბეროში.

სიმაღლე – 1,83 მ, წონა – 75 კგ.

დედა – სონია ერთ-ერთ პიცერიაში მუშაობს დამხმარედ.

მამა – სატელეფონო ფირმის მოსამსახურეა. მან მიატოვა ოჯახი, როცა რომარიო 10 წლისა იყო.

თავდამსხმელის ცხოვრების თანამგზავრია მოდელიორი და მსახიობი – სუზანა ტერნერი. 1996 და 1997 წლების „მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი“, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონებზე სათადარიგო მოთამაშე.

1993 წელს თამაშობდა „ზაო ხრისტოვაოში“ ( 28 თამაში, 22 გოლი) შეისყიდეს – 100. 000 მარკად.

1994 – ეინდჰოვენი (56 თამაში, 56 გოლი) – 12 მილიონი მარკა

1996 – ბარსელონა (49 თამაში, 47 გოლი) – 36 მილიონი მარკა.

1997 – მილანის „ინტერი“ – 60 მილიონი მარკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



FRANCE 98 COUPE DU MONDE

# სამხრეთ კორეა

## „აზიაში უძლიერესები ვართ!“

სამხრეთკორეელებისათვის მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ნაწილში მონაწილეობა ახალი ხილი არ გახლავთ. მათ პირველი ასეთი წარმატება ჯერ კიდევ 1954 წელს მოიპოვეს, როცა აზიურ შესარჩევ ჯგუფში იაპონელებს სძლიეს – 5-1, 2-2. ამასთან,შვეიცარიაში მათმა თამაშმა დაგვანახვა რომ, მხოლოდ საუკეთესო ფიზიკური მომზადებითა და საბრძოლო ჟინით ვერ გაუმკლავდები მსოფლიოს უძლიერეს ნაკრებებს (უნგრელებთან წააგეს ანგარიში 0-9, თურქებთან – 0-7). 1986 წელს სულ სხვა ვითარება იყო. „A“ ჯგუფში კორეელების მეტოქეები იყვნენ არგენტინელები, იტალიელები და ბულგარელები. ამჯერად აზიელებს არც ერთი მატჩი არ დაუთმიათ უბრძოლველად. ბულგარელებთან შეხვედრა ფრედ – 1-1 დასრულდა (გოლი კორეელთაგან გაიტანა კიმ იონ-ბომ). იტალიელებთან კორეელებმა სამი გოლი გაიტანეს, მაგრამ მაინც წააგეს – 2-3. კო კუან-რაე ავტოგოლის ავტორი გახდა, ძოფის კარში კი გოლები გაიტანეს ჩოი სუნ-ხომ და ხუიონ-მუმ. მსოფლიოს მომავალ ჩემპიონებთან – არგენტინელებთან კორეელებმა ასევე ღირსეულად ითამაშეს – 1-3 (პარკ ჩან-სანი). ასევე კარგად წარმართეს მათ 1990 და 1994 წლების მსოფლიო ჩემპიონატები.

ცხადი გახდა, რომ ფეხბურთი ამ ქვეყანაში ნიადაგ ალმავლობითი გზით მიდის.

ისე კი, ფეხბურთს კორეაში საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს, ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია 1928 წელს დაარსდა, ფიფაში 1948 წელს შევიდა, აზიის ფეხბურთის ფედერაციაში – 1954 წელს. ამჟამად ქვეყნის მოსახლეობა შეადგენს 44 მილიონ

# მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები

850 კაცს. ქვეყანაში 480 კლუბია, რამდენიმე ათასი ფეხბურთელია. ეროვნული ჩემპიონატი იწყება მარტში და ნოემბრამდე გრძელდება.

ყველაზე გამოჩენილი პიროვნება ამჟამად კორეის ნაკრებში მისი მწვრთნელი 44 წლის ჩა ბუმ-კუმი გახლავთ. თამაშობდა მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატში, სადაც სპეციალისტების საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. წლების განმავლობაში გამოდიოდა გერმანიის ბუნდესლიგის ცნობილ კლუბებში – მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტსა“ და ლევერკუზენის „ბაიერში“, ამასთან, როგორც ერთში, ისე მეორეში თავდასხმის ლიდერი იყო და სხვა გუნდებში მოწვევაც ჰქონდა. ბუნდესლიგაში ითამაშა 308 მატჩი და გაიტანა 98 გოლი. მერე კიოლნის განთქმულ მწვრთნელთა სკოლაში მიიღო ლიცენზია. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ენერგიულად შეუდგა საქმიანობას, დააარსა „ჩა ბუმ-კუმის საფეხბურთო სკოლა“. მასში იღებენ ბავშვებს 8 წლის ასაკიდან 16 წლამდე. ამჟამად ეს არის დიდი სპორტული ორგანიზაცია, რომელსაც მთელ ქვეყანაში 20 განყოფილება აქვს და 1200 ბავშვს აერთიანებს. 1990 და 1994 წლების მსოფლიო ჩემპიონატებზე ჩა ბუმ-კუმი ეწეოდა კომენტატორის საქმიანობას, ხშირად აქვეყნებს კორეის პრესაში ფეხბურთისადმი მიძღვნილ სტატიებს.

ახლა სრულიად ნათელია, რომ ჩა ბუმ-კუმმა ძალიან კარგად მოამზადა ნაკრები აზიის შესარჩევ ჯგუფში გამოსასვლელად, წინასწარი თამაში იოლად სძლია ჰონკონგელებსა (2-0, 4-0) და ტაილანდელებს (3-1, 0-0). ამის შემდეგ კორეელებმა მოიპოვეს „B“ ჯგუფში გამოსვლის უფლება, სადაც მათი მეტოქეები იყვნენ ყაზახეთის, უზბეკეთის, იაპონიისა და არაბთა გაერთიანებული საემიროების ნაკრებები. აქ ჩა ბუმ-კუმმა გუნდს მიზნად დაუსახა მაინც-დამაინც პირველი ადგილისათვის ბრძოლა ყოველგვარი დამატებითი მატჩების თავიდან ასაცილებლად. ეს ამოცანა დამაჯერებლად შესრულდა. უზბეკეთისა და არაბთა გაერთიანებული საემიროების ნაკრებები ორ-ორჯერ დაამარცხეს, შესაბამისად 2-1, 5-1 და 3-0, 3-1. ყაზახეთის ნაკრები ერთხელ დაამარცხეს – 3-0, სტუმრად კი ფრედ – 1-1 ითამაშეს. იაპონელებთან ცოტა მოულოდნელი რამ მოხდა. კორეელებმა მათ ტოკიოში სძლიეს – 2-1, მაგრამ შინ დამარცხდნენ – 0-2. ასე იყო თუ ისე, კორეელებმა შეძლეს გაესწროთ იაპონელებისათვის და გადაულოცეს მათ დამატებით მატჩში მონაწილეობის უფლება. კორეელების ნაკრებში ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ჩიო იონგ-სუმ, რომელმაც 9 გოლი გაიტანა და 4 გოლის ავტორმა კიმ დო-ხუმ.



წინა პლანზე – კორეელი ჩოი იონგ-სუ

ერთი სიტყვით, კორეის ნაკრებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი ამჟამად უძლიერესია აზიაში და, ამდენად, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის უდავოდ საინტერესო მონაწილე. ჩა ბუმ-კუმმა ნათლად უჩვენა, რომ მთელი მისი წინასწარი მუშაობა იყო კარგად გააზრებული, ორგანიზებული და ამან სრულ წარმატებამდე მიიყვანა კიდეც.

ახლა მთავარმა მწვრთნელმა დაგეგმა მთელი რიგი საწვრთნელი თამაშები. მარტში იაპონიაში მოეწყობა საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც „დინასტიის თასი“ ჰქვია. აქ გამოსასვლელად ემზადებიან იაპონელები, ჩინელები და ჰონკონგოელები. ამას მოჰყვება საწვრთნელი შეკრება საფრანგეთში. შემდეგ ნაკრები დაბრუნდება სეულში, სადაც დაგეგმილია საწვრთნელი შეხვედრები ჩილესა და პარაგვაის ნაკრებებთან. ორივე ეს გუნდი ფინალის მონაწილეა, ამიტომ ეს იქნება ძალების კარგი მოსინჯვა.

თვით ჩა ბუმ-კუმი ფიქრობს, რომ ნაკრებს დიდი საბრძოლო სულისკვეთება აქვს, რაც ყველა აქამდელ მატჩშიც კარგად დაამტკიცა. რაც შეეხება მოთამაშეთა ტექნიკასა და ფუნქციის მომზადებას, აქ კიდევ არის სერიოზული ხარვეზები.

როცა მწვრთნელს ჰკითხეს, რას იტყვის იგი „E“ ჯგუფზე (ჰოლანდია, ბელგია, მექსიკა), სადაც სამხრეთ კორეის ნაკრები მოხვდა, მან ასე უპასუხა:

– კარგი ფეხბურთი უნდა ვუჩვენოთ, მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი ხომ ჩვენთან ტარდება. ბელგიელები და ჰოლანდიელები, რა თქმა უნდა, ძლიერები არიან, მით უმეტეს, საპატიო იქნება მათთან წარმატებით თამაში. მექსიკის ნაკრებს არც ისე კარგად ვიცნობ, მაგრამ, ვფიქრობ, შეგვიძლია მათთან მოგება. საერთოდ კი, წილისყრის შედეგებით კმაყოფილი ვარ. აქამდე ოთხჯერ ვითამაშეთ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, მაგრამ პირველ სტადიას ვერ გავცდით. ახლა მეტს უნდა მივაღწიოთ. ჩემი მთავარი მიზანი გახლავთ ერთი მატჩის მოგება მაინც, რაც პირველი იქნება კორეის ფეხბურთის ისტორიაში.

ახლა კორეელების მეტოქეებს მოვუსმინოთ: ***ჟორჟ ლეესკენსი*** (ბელგიელთა მთავარი მწვრნელი) – ჰოლანდიელებთან, რა თქმა უნდა, გაგვიჭირდება, ამიტომ ყურადღების კონცენტრაცია ახლა მექსიკისა და სამხრეთ კორეის ნაკრებებზე გადამაქვს. ***გუუს ჰიდინკი*** (ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი) – კორეელები სუსტები არიან? არავითარ შემთხვევაში. მანუელ ლაპუენტე (მექსიკელთა მთავარი მწვრთნელი) – საკმაოდ მძიმე ჯგუფში აღმოვჩნდით. კორეის ნაკრები მეტად სწრაფად თამაშობს, ჰოლანდიელთა და ბელგიელთა ძალაზე კი არც არის საჭირო ლაპარაკი.

ახლა კორეელები თავიანთი ნაკრებისაგან ბევრს ელიან. ჩა ბუმ-კუმი ადრეც მეტად პოპულარული კაცი იყო, ამჟამად კი საყოველთაო ალტაცების პიროვნებად იქცა. მას ისიც კი ურჩიეს, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდეს. „ვისაც შეუძლია ქვეყნის ნაკრების გამარჯვებამდე მიყვანა, მას ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებაც შეუძლია“. მთავარ მწვრთნელს ეკითხებიან, რითი აიხსნება ეს ეიფორია. „შესარჩევ თამაშებში კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ. ერთი წლის წინ კი, როცა ნაკრებში არ ვმუშაობდი, ყველა გვამარცხებდა, ვისაც კი სურდა. ახლა ქვეყანაში საზოგადოებრივ – პოლიტიკური კრიზისია, ჩვენ კი კორეელებს სიხარული მოვუტანეთ.

● ***როგორ მიაღწიეთ ამას?***

– ძალიან მიხარია, რომ შევძელი გადმომეტანა ყველაფერი ის, რაც გერმანიაში ვისწავლე: წვრთნის პროცესის ორგანიზაცია, ტექნიკურ-ტაქტიკური მეცადინეობა, ფიზიკური მომზადება, განწყობა კონკრეტული თამაშებისთვის – ეს ყველაფერი ისე გვაქვს, როგორც ბუნდესლიგაშია. ამასთან, ჩემი მუშაობის მთავარი პრინციპი ახალგაზრდებისათვის გზის გახსნაა. ამიტომაც არის, რომ იმ შემადგენლობიდან, რომელიც ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატში გამოდიოდა, მხოლოდ ოთხი კაციღა დარჩა.

ახლა სპეციალისტების შეფასებით, ქვეყნის ეროვნული ნაკრების ოპტიმალური შემადგენლობა ასეთია: ***მეკარე*** კიმ ბიუნგ-ჯი (27 წლის, თამაშობს „ულსან ჰენდეში“), ***მცველები*** – ჰონგ მიუნგ-ბო (28, იაპონიის „ბელმარე ჰირაცუკა), ჩოი იუნგ-ლი (31, „პუსან ძე“), ლი მინ-სუნგი (24, „პუსან ძე“), ჯანგ დაეილი (22, „იენსეი იუნივერსიტი“), ***ნახევარდაცვა*** – ლი კი-ჰიუნგი (23, „სუვონ სამსუნგი“), ჰა სეოკ-ჯუ (29, „პუსან ძე“), იუ სანგ-ჩული (26, „იულსან ჰენდე“), ლი სანგ-იუნი (28, „ჩუნან ილვა“), ***თავდასხმა*** – ჩოი იონგ-სუ (27, „სანგმუ“), კო ჯუნგ-ვუნი (31, თამაშობს იაპონიაში, ოსაკას „სერეზოში“).

თვით მწვრთნელი განსაკუთრებით გამოყოფს მცველ ჩოი იუნგ-ილს, ნახევარმცველებს იუ სანგ-ჩულს, ჰა სეოკ-ჯუს, ლი კი-ჰიუნგს, თავდამსხმელს პარკ კუნ-ჰას (26 „სუვინ სამსუნგი“).

როგორც ვხედავთ, მოთამაშეების დიდი უმეტესობა საკმაოდ ახალგაზრდაა, დიდი საბრძოლო შემართებით და ამდენად ოპტიმისტჩა მუმიკუნსაც უნდა გავუგოთ.

ბიბი თორელი

---

## მსოფლიო თასს ფრანგები დაეპატრონებიან – ასე მიაჩნია თხილამურების მეფეს

**სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ალბერვილის თამაშების მთავარი ორგანიზატორი ჟან-კლოდ კილი საფრანგეთში უზომო პოპულარობით სარგებლობს. დამთავრდა თუ არა ნაგანოს ზამთრის ოლიმპიადა, კილის გაუჩნდა დრო, რათა აზრი გამოთქვას სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობაზე — ფეხბურთზე. ჟურნალ „პრიმას“ რეპორტიორს იგი საკმაოდ გულღიად ესაუბრა.**

— რა, არ გჯერათ, რომ ფეხბურთი ყველაზე პოპულარულია? ახლავე დაგიმტკიცებთ. დავიბადე ალპებში, იქ, სადაც ხალხი ჯერ თხილამურებზე დგომას ეჩვევა და მხოლოდ ამის შემდეგ სწავლობს სიარულს. როგორც კი მთავრდებოდა სათხილამურო სეზონი, საფეხბურთო მინდვრისკენ გავრბოდით. ზამთარშიც, სკოლაში, შესვენების დროს არ ვივიწყებდით ფეხბურთს. მახსოვს, კარგად ვთამაშობდი, სწრაფად დავრბოდი, ერთნაირად ძლიერად ვხმარობდი ორივე ფეხს, უფრო ხშირად მაყენებდნენ მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე.

● ***როდესაც სერიოზულად მოჰკიდეთ ხელი თხილამურებს, ფეხბურთს თავი დაანებეთ?***

— ცხადია, ამ შემთხვევაში ფეხბურთისთვის დრო ნაკლები მრჩებოდა, მაგრამ სათხილამურო ნაკრებშიც კი საინტერესო ტურნირებს ვაწყობდით.

FRANCE 98 INFORMATIONS



● ***ვის გულშემატკივრობთ?***

— ერთ საინტერესო ამბავს გეტყვით — ყოველი სეზონის დასაწყისში ვირჩევ გუნდს, რომელიც გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ხდება ქვეყნის ჩემპიონი. რასაკვირველია, საფრანგეთის ნაკრებსაც გულშევმატკივრობ.

● ***რომელი მსოფლიო ჩემპიონატი დაგამახსოვრდათ ყველაზე ძალიან?***

— 50-იანი წლების დასასრული. „რეიმსის“ დიდი გუნდი ჩვენი ბრწყინვალე ნაკრები შვედეთის 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. მაშინ იქ გამოდიოდნენ კოპა, ფონტენი, პიანტონი... ბრაზილიელები ხომ მთლად ვირტუოზები იყვნენ! სანამ შვედეთს გაემგზავრებოდნენ, ბრაზილიელები ლიონში ჩამოვიდნენ. არასოდეს დამავიწყდება ნამდვილი ჯადოქრების პელეს, ვავას და სხვების ოსტატობა.

● ***რას ფიქრობთ საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე?***

— იგი ისტორიაში შევა როგორც ახალგაზრდობის ზეიმი. მოხარული ვარ, რომ ამ ფორუმის მთავარი ორგანიზატორი ჩემი მეგობარი მიშელ პლატინია. თავიდანვე მისი მცდელობა იყო, მატჩებს რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდობა დაესწროს — ნაწილი უფასოდ, ნაწილიც — შეღავათებით. მიშელი მთელს მსოფლიოს დაანახვებს როგორი დიდია ფრანგული ერი.

● ***ვინ გაიმარჯვებს ჯგუფებში და სულაც — ვინ მოიპოვებს მსოფლიო თასს?***

— პროგნოზებისაგან თავს ვიკავებ ხოლმე, მაგრამ ამჯერად ჩვეულებას ვუღალატებ. A ჯგუფში — ნორვეგია, ბრაზილია, B-ში — იტალია, ჩილე, C-ში — საფრანგეთი, სამხრეთ აფრიკა, D-ში — ესპანეთი, ნიგერია, E-ში — ჰოლანდია, მექსიკა, F-ში — იუგოსლავია, გერმანია, G-ში — ინგლისი, რუმინეთი, H-ში არგენტინა, ხორვატია. მსოფლიოს თასს კი ფრანგები მოიგებენ. მჯერა, ასე მოხდება. სხვა შედეგი ჩვენთვის კატასტროფა იქნება.

*სურათზე: ჟან-კლოდ კილი (მარცხნივ) და „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი თენგიზ გაჩეჩილაძე ნაგანოში.*

*ავთანდილ გურასაშვილის ფოტო.*

---

## მარიო ზაგალო: დამხმარე არ მჭირდება

**ბრაზილიაში დიდი ბჭობაა – კონკაკაფის „ოქროს თასზე“ საფეხბურთო ნაკრების წარუმატებელი გამოსვლა ძალზე მტკივნეულად აღიქვეს. როგორც ცნობილია, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა ამ ასპარეზობაში 5 მატჩიდან მხოლოდ ორი მოიგეს და მესამე ადგილს დასჯერდნენ.**

ამასთან დაკავშირებით, პრესაში დისკუსია გაჩაღდა – ესაჭიროება თუ არა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს მარიო ზაგალოს ისეთივე თანაშემწე, როგორიც თვითონ იყო ოთხი წლის წინათ მაშინდელი თავკაცის კარლოს ალბერტო პარეირასათვის.

სპორტის მინისტრს პელეს ჯერ არ გამოუთქვამს თავისი აზრი, აი ქვეყნის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტს რიკარდო ტეიშეირას კი უკვე გადაუწყვეტია ზაგალოს მიამაგროს „სუპერვიზორი“. ამბობენ, ზაგალოს ძალიან არ მოეწონა ტეიშეირას განზრახვა: „როდესაც ნაკრებს ვიბარებდი ტეიშეირამ თავად მითხრა დამხმარე არ გჭირდებაო. ახლა კი, რამ შეაცვლევინა ეს აზრი, არ ვიცი. „ოქროს თასის“ მატჩები მხოლოდ რეპეტიცია იყო მსოფლიო ჩემპიონატისათვის“.




ბრაზილიური გაზეთები ზაგალოს შესაძლო თანაშემწედ ასახელებენ ევროპაში ნაკლებად ცნობილ პაულო აუტუორას. ბრაზილიაში მან სახელი გაითქვა როგორც ნიჭიერმა ტაქტიკოსმა. ბოლო წლებში აუტუორამ ჯერ „ბოტაფოგოს“ მოაგებინა ბრაზილიის ჩემპიონის ტიტული, შემდეგ კი „კრუზეიროს“ – ლიბერტადორესის თასი.

ზაგალოს გასაკვირად, „სუპერვიზორის“ დანიშვნის იდეას მხარი დაუჭირეს ბრაზილიური ფეხბურთის ლეგენდებმა – ტოსტაომ და კარლოს ალბერტომ. ეს ის ფეხბურთელებია, რომლებმაც 1970 წელს მექსიკაში სწორედ ზაგალოს ხელმძღვანელობით მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა.

როგორც ეტყობა, ბრაზილიაში დიდი სკანდალი მწიფდება და შესაძლოა ამ დღეებში ზაგალომ თავისი გადადგომის შესახებაც განაცხადოს.



## ეჭყოპა, სასწორი იუჰანსონის მხარეს იხრება

**ამ დღეებში, უფრო ზუსტად 13 მარტს, ჟოაო აველანჟის თავმჯდომარეობით გაიმართება ფიფას აღმასკომის რიგგარეშე სხდომა, რომელზეც განიხილავენ ერთადერთ საკითხს — „გენერალური მდივნის პოზიცია ფიფას მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე“.** ეს გამოწვეულია იმით, რომ ბლატერს, ჯერჯერობით, ნათლად არ გამოუთქვამს, იყრის თუ არა კენჭს პრეზიდენტის პოსტზე. არადა, დადგენილია, რომ კანდიდატთა სიები 7 აპრილამდე უნდა შედგეს. დღესდღეობით ოფიციალურად ცნობილია მხოლოდ ერთი ტახტისმაძიებელი — უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი, ისიც ვიცით, რომ აველანჟეს იგი გულზე არ ეხატება და მხარს არ უჭერს.

„ლელო“ იტყობინებოდა, რომ უეფას აღმასკომმა იანვარში სპეციალურად მიმართა ფიფას — კანდიდატურის წამოყენებიდან არჩევნებამდე ბლატერი თანამდებობიდან გადადგესო. ასე რომ, ფიფასა და უეფას შორის გამოუცხადებელი ომი გრძელდება (პრეზიდენტის არჩევნები პარიზში მსოფლიო ჩემპიონატის გახსნამდე, 8 ივნისს გაიმართება). საფიქრალი იყო — ამ ჭიდილში სასწორი ფიფას მხარეს გადაიხრებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ამას წინათ, აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ იუჰანსონის მხარე დაიჭირა. უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გადმოსცეს ცნობა, რომ ფიფის გაპრეზიდენტება მოიწადინა ფრანც ბეკენბაუერმაც. მისი აზრით, მხოლოდ ამ შემთხვევაში მოიპოვებენ გერმანელები უფლებას უმასპინძლონ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატს. იუჰანსონის მხარდაჭერის შესახებ განაცხადა ბრაზილიის სპორტის მინისტრმა, ფეხბურთის მეფე პელემ: „იგი ბრწყინვალედ ართმევს თავის საქმეს. ამასთან, ძალიან პატიოსანია. ვინ, თუ არა იუჰანსონი, უნდა ჩაუდგეს სათავეში ფიფას?“

## მეტსახელები...

აფრიკულ ნაკრებებს შორის დამკვიდრდა ერთი თავისებური ჩვეულება, მათ სახელების ნაცვლად უფრო მეტსახელებს უწოდებენ.

ეგვიპტელებს „ფარაონებს“ უწოდებენ, მოზამბიკელებს — „გველებს“, ტოგოს ნაკრებს — მართვეებს, გვინეელებს „სილებს“ (ასე ჰქვიათ ერთ-ერთი გვინეური ტომის ენაზე სპილოებს), ალჟირელებს — „უდაბნოს მელიებს“, განელებს — „შავ ვარსკვლავებს“, ზამბიელებს — „ჯადოქრებს“, ნამიბიელებს — „მამაც მეომრებს“, სამხრეთაფრიკელებს — „ბაფანა-ბაფანას“, რაც, უბრალოდ, ჭაბუკებს ნიშნავს, კამერუნელებს — „მოუთვინიერებელ ლომებს“, კოტ დ'ივუარის, ანუ სპილოს ძვლის სანაპიროს ნაკრებს — უბრალოდ „სპილოებს“, ბურკინა-ფასოს ნაკრების მოთამაშეებს — „მოჯირითეებს“, მაროკოელებს — „ატლასელ ლომებს“, ანგოლელებს — „შავ პანტერებს“, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოთამაშეებს — „სუახილის ლომებს“ და ა.შ.

# ოლივერ ბირჰოფი: მე ლიდერი ვარ!

**ახლა ბუნდესტრენერ ბერტი ფოგტსს მსოფლიო ჩემპიონატის წინ იურგენ კლინსმანის დიდი იმედი უკვე აღარ აქვს და ნაკრების თავდასხმის ლიდერი, ეტყობა ოლივერ ბირჰოფი იქნება. უკვე 10 წელია, რაც 29 წლის ფორვარდმა აღიარება მოიპოვა. გადავხედოთ მისი სპორტული კარიერის ეტაპებს.**

**„ბაიერ 05 უერდინგენი“** (1985 წლის ივლისი — 1988 წლის ივნისი): „ეს იყო კარიერის ტიპიური დასაწყისი. პირველ წელს ძალიან კარგად ვთამაშობდი, გულშემატკივრებს ვუყვარდი და მამხნევებდნენ. ეს იყო ჩემი საუკეთესო სეზონი გერმანიაში. ჩემი მწვრთნელები მაშინ ფელდკამპი და შაფსტალი იყვნენ“.

**„ჰამბურგერ შპორტფერაინი“** (1988 წლის ივლისიდან 1990 წლის დეკემბრამდე): „პირველი სეზონი ამ ახალ კლუბში ნამდვილად მშვენიერი გამოდგა. კლუბის სპორტული დირექტორი ერიხ რიბეკი მომელაპარაკა, მწვრთნელმა რაიმანმა არაფერი იცოდა. მივედი რაიმანთან და ვუთხარი, სიამოვნებით ვითამაშებ-მეთქი თქვენი ხელმძღვანელობით. რაიმანმა გაიკვირვა, ვინა ხარო. მაგრამ მას შემდეგ, რაც „კიოლნთან“ ორი გოლი გავიტანე, ვითარება შეიცვალა. მეორე სეზონში რაიმანი მაინც ყოველნაირად მიშლიდა ხელს“.

**მენხენგლადბახის „ბორუსია“** (1980 წლის დეკემბერი — 1990 წლის ივნისი): „ძალიან ცუდი, საშინელი დრო. სუსტად ვთამაშობდი, ვერაფერს ვაკეთებდი. ჩემი მწვრთნელი მაშინ გერდ ფონ ბრუხი იყო“.

**ზალცბურგის „კაზინო“** (1990-91 წლების სეზონი): „დაუვიწყარი წელი, ყველაზე კარგი ჩემს კარიერაში. გერმანიაში ცუდი თამაშის შემდეგ ფეხბურთმა კვლავ მიმიზიდა და სიამოვნება მომანიჭა. მხიარულ სამოყვარულო გუნდს ვგავდით. ავსტრიელ გულშემატკივრებს ძალიან ვუყვარდი“.

**„ასკოლი კალჩიო“** (1991 წლის ივლისი — 1995 წლის ივნისი): „აქ გატარებული პირველი და უკანასკნელი წლები ცუდი გამოდგა. დასაწყისში გუნდს ძნელად შევეგუე, შემდეგ ძნელად გამოვეთხოვე. სიკვდილითაც მემუქრებოდნენ, ავტომანქანაც დამიწვეს. ერთი წაგებული თამაშის შემდეგ მთელი ორი საათის განმავლობაში ავტობუსში ვიჯექით, პოლიცია გვიცავდა და შემდეგ სახლამდე მიგვაცილა. როცა გუნდში ჩავირიცხე, ორი თვის განმავლობაში ხელფასი არ მოუციათ, უკანასკნელ სეზონში მთელი ნახევარი წელი იგივე გააკეთეს“.

**„უდინეზე“** (1995 წლის ივლისიდან დღემდე): „ეს იყო ჩემთვის სპორტული თვალსაზრისით გადამწყვეტი წლები. „სერია A“-ში დავიმკვიდრე სახელი, გავხდი გერმანიის ნაკრების წევრი, მოვიპოვეთ ევროპის ჩემპიონობა.

**გთავაზობთ** ოლივერ ბირჰოფის ინტერვიუს, რომელიც ჟურნალ „კიკერში“ დაიბეჭდა. ფეხბურთელს ესაუბრება მიმომხილველი კარლ ჰაინც ვილდი.

● *როგორ ფიქრობთ, რომელი გერმანელი თავდამსხმელი თამაშობდა ყველაზე უკეთესად 1997 წელს?*

— აქ საკუთარი თავი უნდა დავასახელო. კარგად თამაშობდა ულფ კირსტენიც. მაგრამ, რიცხვები, შედეგები მაინც ჩემს სასარგებლოდ ლაპარაკობდა, როგორც ეროვნულ ნაკრებში, ისე კლუბშიც.

● *19 მატჩში, რომელიც ეროვნულ ნაკრებში ჩაატარეთ, 13 გოლი გაიტანეთ. აქედან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში — 6, 1997 წელს ნაკრებში ჩატარებულ მატჩებში — 7. მიგაჩნიათ თავი დღეისათვის ნაკრების ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ?*

— რა თქმა უნდა, ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე ვარ. ამას დღეისათვის დანამდვილებით ბევრი ვინმე ვერ იტყვის, მაგრამ სწორედ ძირითადი მოთამაშეების წრეს მივეკუთვნები. ამავე დროს, მინდა ყოველთვის მატჩის დასაწყისიდანვე ვითამაშო. საერთოდ, შეცდომად მიმაჩნია, როცა სასტარტო შემადგენლობაში არ გამოვდივარ.



● *რას ელით ამ მსოფლიო ჩემპიონატში? როგორ გამოვა გუნდი? თქვენ თვითონ?*

— მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა თითოეული მოთამაშისათვის უმაღლესი პატივია. მინდა, რომ ჩემი ნაკრები პირველი იყოს.

● *თვლით, რომ გერმანელებს საამისო შესაძლებლობა აქვთ?*

— აუცილებლად. მართალია კონკურენცია დიდი იქნება: ბრაზილია, არგენტინა, საფრანგეთი, იტალია, ინგლისი, ხორვატია.

● *რა უნდა გააუმჯობესოს ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის წინ?*

— მყარი შემადგენლობა უნდა დავადგინოთ, ისეთ შეთამაშებას უნდა მივაღწიოთ, რომ ფეხბურთელები, როგორც იტყვიან, თვალდახუჭულნი უგებდნენ ერთმანეთს. უფრო დინამიურად უნდა ვითამაშოთ.

● *ევროპის ჩემპიონატში „ოქროს გოლი“ გაიტანეთ. მსოფლიო ჩემპიონატშიც გამოიჩენთ თავს?*

მაშინ ინგლისში დიდი იმედებით ალსავსე გავემგზავრე, მაგრამ ნაკლებ მატჩში მივიღე მონაწილეობა, ვიდრე მოველოდი. საფრანგეთში მე ისე უნდა ვითამაშო, როგორც ამ მშვენიერ მსოფლიო ჩემპიონატს ეკადრება.

● *უფრო კონკრეტულად?*

— „უდინეზეში“ შევეჩვიე ლიდერობას.

● *ერთი სიტყვით, გნებავთ ასეთივე როლი ნაკრებში საფრანგეთშიც შეასრულოთ?*

— ყოველ შემთხვევაში, მინდა ყოველთვის ძირითად შემადგენლობაში ვიყო. ის ხომ აღარა ვარ, რაც 1996 წელს ევროპის ჩემპიონატის დაწყების წინ ვიყავი; როცა ნაკრებში სულ 5 მატჩი მქონდა ჩატარებული. ახლა, ცხადია, მეტი გამოცდილება, საკუთარი ძალის მეტი შეგრძნება მაქვს. როცა ევროპის ჩემპიონატში ბევრმა ჩვენმა მოთამაშემ მიიღო ტრავმა, იმასაც კი ფიქრობდნენ, რომ მინდვრის მოთამაშედ მეკარე ოლივერ კანიც კი გამოეყენებინათ. ბირჰოფი მაშინ არავის დაუსახელებია.

● *დიახ, მაგრამ ვინ ფიქრობდა ასე?*

— ეს გერმანიის ფეხბურთელთა კავშირთან ახლო მდგომმა ადამიანებმა მითხრეს.

● *რომელ ნახევარმცველებს აფასებთ ყველაზე მეტად?*

— როცა ჰესლერი მინდორზეა, მშვენივრად ვგრძნობ თავს. იგი პირდაპირ იდეალური ნახევარმცველია ფრთიდან მწვავე გადაცემებით, ჩინებული გამიზნული პასით.

● *თქვენთვის იდეალური პარტნიორი თავდასხმაში?*

— ჩემი 19 მატჩიდან, რომელიც ნაკრებში ჩავატარე, 15-ჯერ კლინსმანთან ერთად ვითამაშე. მასთან ძალიან კარგად ვიყავი შეთამაშებული.

● *კირსტენთან ერთად როცა თამაშობთ, საქმე უარესად გამოგდით?*

— არა, რატომ. როცა მე და კირსტენმა თავდასხმაში წყვილი შევადგინეთ სამხრეთი აფრიკის ნაკრებთან მატჩში, ყველაფერი ასევე კარგად იყო.

● *მაშ კონკრეტულად ვთქვათ, მაინც რომელთან ერთად გირჩევნიათ თამაში, კლინსმანთან თუ კირსტენთან?*

— როგორ გითხრათ, ჩემთვის მთავარია თვითონ კარგად ვითამაშო. ჩემი გოლების სტატისტიკა კი იმაზე მიუთითებს, ვისი დახმარებით გავიტანე ისინი.

● *როგორი რეაქცია გაქვთ, როცა არ თამაშობთ, ძალიან ბრაზდებით?*

— თუკი ამ მომენტისათვის სხვები უკეთ თამაშობენ, სულაც არ ვბრაზდები.

● *როცა სხვები თქვენზე უარესად თამაშობენ?*

— მაშინ იმაზე ვფიქრობ, რომ ნაკრებს საერთოდ დავანებო თავი.

● *აღარ აპირებთ „უდინეზეში“ დარჩენას. საითკენ აპირებთ წასვლას? „მილანში“ თუ „იუვენტუსში“?*

— შეიძლება 80 პროცენტის სიზუსტით ვთქვათ, რომ ამ კლუბში აღარ დავრჩები. მინდა რომელიმე დიდ კლუბში გადასვლა. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში არ მოხდება, თუკი „უდინეზე“ ჩემპიონი გახდება. მაგრამ ჩვენ საამისო ძალა არ უნდა გვეყოს.

● *როგორია თქვენი, ასე ვთქვათ, საბაზრო ფასი?*

— ლაპარაკია 20 მილიონ მარკაზე.

● *ბუნდესლიგაზე აღარ არის ლაპარაკი? არ გიზიდავთ?*

— არა, ბუნდესლიგა არ მიზიდავს.

● *არც „ბაიერნი“? დორტმუნდის „ბორუსია“?*

— „ბაიერნი“ მაინტერესებს, მაგრამ „ბაიერნსა“ და „მილანს“ შორის არჩევანი რომ იყოს, მაინც „მილანს“ ვამჯობინებდი.

თარგმნა
მიხეილ ჭუჭუნავამ

FRANCE 98

## „დინასტიის თასი“

### იაპონია, სამხრეთ კორეა, ჩინეთი, ჰონკონგი

იაპონიაში ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა – საზეიმოდ გაიხსნა ტოკიოს „იოკოჰამას“ სტადიონი, ის სარბიელი, სადაც ნავარაუდევია შედგეს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი, სწორედ აქ ჩატარდა ოთხთა ტურნირის პირველი მატჩი იაპონიისა და სამხრეთ კორეის ნაკრებ გუნდებს შორის. საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტებმა უკომპრომისო ბრძოლა გააჩაღეს. თამაშის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე მასპინძლებმა გამარჯვების გოლი გაიტანეს და ანგარიშით 2-1 გაიმარჯვეს.

მეორე წყვილში ჩინეთმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ჰონკონგს სძლია 1-0.

„დინასტიის თასის“ მეორე ტურის მატჩები დღეს გაიმართება.

## პასარელა: გნებდებით, ბატისტუტასაც ვიწვევთ!

**10 მარტს არგენტინის ნაკრები მორიგ ამხანაგურ მატჩს გამართავს. ამჯერად მისი მეტოქე ბულგარეთის ნაკრები იქნება.** ამ შეხვედრისათვის არგენტინელთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა დანიელ პასარელამ, როგორც იქნა, გამოიძახა „ფიორენტინას“ გოლეადორი გაბრიელ ბატისტუტა. მიმომხილველთა აზრით, მწვრთნელმა ეს ნაბიჯი იძულებით გადადგა: იგი კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა, ვინაიდან ამას წინათ ჩატარებულ შეხვედრებში (იგულისხმება მატჩები რუმინელებთან და იუგოსლაველებთან) არგენტინელებმა ცუდი შთაბეჭდილება დატოვეს. ეს იმიტომ, რომ ბატისტუტა არ გამოიძახეო – საყვედურობდნენ პასარელას.

და მაინც, ყველაზე დიდი მოულო-




დნელობა ის არის, რომ მწვრთნელმა გუნდში მიიწვია „სალამანკას“ 20 წლის მცველი გუსტავო ლომბარდი. ნაკრებში კიდევ რამდენიმე ლეგიონერი ითამაშებს – კლაუდიო ლოპესი, მაურიციო პინედა, პაბლო პასი, რობერტო აიალა, ხუან ვერონი.

## ხელს რომ აწერ, დაუკვირდი!

***ჩვენი არ იყოს, დიდად ღარიბი ხალხი ცხოვრობს აფრიკის ისეთ სახელმწიფოში როგორიცაა ნიგერია***

*104- მილიონიან ქვეყანაში საშუალო ხელფასი 50-60 დოლარია, ამიტომ ფეხბურთელებს ქვეყანაში ვეღარ აჩერებენ. ისინი მზად არიან ითამაშონ თუნდაც ჩრდილოეთ პოლუსის გუნდში, ოღონდაც თავი დააღწიონ სიღარიბეს. ასე მოუვიდა ნიგერიის ნაკრების ფეხბურთელს გარბა მუჰამედს (ამ გუნდში 3 მატჩი ითამაშა), რომელიც, ამას წინათ, დორტმუნდის „ბორუსიამ“ ჩალის ფასად შეისყიდა. კონტრაქტის გაფორმების შემდეგ გაირკვა, რომ ნიგერიელი ფეხბურთელი 4 წლის განმავლობაში მხოლოდ 17 ათას დოლარს მიიღებდა!*

*ნიგერიის საფეხბურთო ასოციაციის გენერალურმა მდივანმა სონი ბორომ სასწრაფოდ აფრინა ფაქსი ფიფაში – ეს დიდი აფიორაა და ფაქტობრივად, ფეხბურთში მონობის დანერგვას ნიშნავს. ჩვენ მანამდე არ გავცემთ მოთამაშის სატრანსფერო სერტიფიკატს, სანამ ფიფა ამ საქმეს დაწვრილებით არ შეისწავლისო. თურმე, ნიგერიის კლუბ „კანო პილარსში“ მოასპარეზე მუჰამედს უცხოელმა მენეჯერმა გერმანულ ენაზე შევსებულ კონტრაქტზე ისე მოაწერინა ხელი, არც კი გადაუთარგმნია იგი – არიქა, ჩქარა, თანხმობა განაცხადე, ძალიან სარფიანი კონტრაქტიაო.*

*ისე, ასეთი რამ მხოლოდ ნიგერიელ ფეხბურთელებს არ ემართებათ. რამდენჯერ იყო, ქართველებსაც ისე მოუწერიათ ხელი კონტრაქტისათვის, ხეირიანად არც იცოდნენ, რაზე იყო შიგ საუბარი.*

## ცუდად თამაშობ და სპონსორსაც დაკარგავ

**ამ დღეებში ყოველკვირეულ „ფუტბოლის“ კორესპონდენტმა რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ბორის იგნატიევს ჰკითხა:**

● ***მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მარცხმა რამენაირად იმოქმედა თქვენს მუშაობაზე ნაკრებში?***

— პირადად მე სერიოზული მორალური ტრავმა მომაყენა. ბუნებრივია, ჩვენ, მწვრთნელები გამწარებული და დათრგუნული ვიყავით. მაგრამ, მოგეხსენებათ, დრო საუკეთესო მკურნალია. წყნარად, ყოვლად უემოციოდ გავაანალიზეთ ვითარება, რამ შეგვიშალა ხელი გადაგვეწყვიტა დასახული ამოცანა. შევადგინეთ მომზადების გეგმა, რომლის მიზანია ნაკრებმა ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ფინალში მიიღოს მონაწილეობა.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება თვალის დახუჭვა იმ მძიმე მდგომარეობაზე, რომელშიც ჩვენი ფეხბურთი აღმოჩნდა, მისი დაფინანსების პრობლემებზე, ჩვენს მიმართ სახელმწიფოს ხელმძღვანელობის დამოკიდებულებაზე. არავინ ხელი არ გაანძრია, რათა ჩვენთვის ნამდვილად რეალური დახმარება გაეწია. ეს მაშინ, როცა რუსეთის ფეხბურთელთა კავშირს არ შეუძლია სხვების დაუხმარებლად ყველა პრობლემის გადაჭრა, ეროვნულის გარდა კიდევ ათი ნაკრების შენახვა.

● ***რუსეთის ეროვნულ ნაკრებს ამ ბოლო ხანებამდე უმძლავრესი სპონსორი — რაო „გაზპრომი“ ჰყავდა.***

— „გაზპრომმა“ თავის სპონსორობაზე უარი განაცხადა. ამის მიზეზი, როგორც ჩვენამდე მოაღწია ხმებმა, ნაკრების წარუმატებელი შედეგებია. ახალი სპონსორი ჩვენ არა გვყავს, ისე კი, ვეძებთ.

● ***წარმოიდგინოთ იტალიის ნაკრების მწვრთნელი ჩეზარე მალდინი, გაწვდილი ხელით მთელ ქვეყანაში დადის და მოსთქვამს: „მოწყალება მოიღეთ, ნაკრებს დაეხმარეთ“.***

— რუსეთი ბევრი თვალსაზრისით სპეციფიკური ქვეყანაა და, თუ გნებავთ, ამ მხრივაც იტალიის ნაკრებზე რომ არ ვილაპარაკოთ, თვით ვნახე, რა ხდებოდა ბულგარეთში, რომლის ნაკრების ბედი ბოლო წლებში ჩვენსას ჰგავდა. ეროვნული ნაკრების გარშემო იქ მთელი ქვეყანა გაერთიანდა, პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და რიგითი გულშემატკივრების ჩათვლით. ნაკრებისაგან არა მარტო წარმატებას მოელოდნენ, არამედ, ყველა პრობლემას აგვარებდნენ, ზოგჯერ სამთავრობო დონეზე. ასეთი ერთიანობის ფონზე ჩვენი გარიყვა კიდევ უფრო საწყენია. ჩვენი ნაკრების პრობლემები, საერთოდ, არავის აინტერესებს რუსეთის ფეხბურთის კავშირის გარდა. ნაკრები ფეხბურთელთა კავშირს კი არა, მთელ ქვეყანას წარმოადგენს.

# ფორმულა-1: მსოფლიო ჩემპიონატი ავსტრალიის გრან-პრით იწყება

*დიახ, მორიგი ჩემპიონატი ტრადიციულად მეხუთე კონტინენტზე იწყება* – 8 მარტს მსოფლიოს უძლიერესი ავტომრბოლები ავსტრალიის გრან-პრის გაითამაშებენ. ამჟამად პილოტები უკანასკნელ რეპეტიციებს




გადიან. გერმანელი მიხაელ შუმახერი იტალიაში, მუგალოს ტრასებზე თავისი ბოლიდით კმაყოფილი დარჩა და იმედოვნებს, რომ ავსტრალიაში იგი სამეულში მოხვდება: „წარმატების დიდი იმედი მაქვს. თუ ღმერთმა გადმომხედა და გავიმარჯვე, მას ჩემს ქალიშვილს ჯინა მარიას მივუძღვნი.

# ჩემპიონები – ლელა ჯავახიშვილი და ნიკა შავთვალაძე

**დამთავრდა საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატი 16 წლამდე მოზარდთა შორის.**

გოგონათა შორის კვლავ ჩინებულად ითამაშა თელაველმა ლელა ჯავახიშვილმა, რომელიც ამას წინათ დამთავრებულ 20 წლამდე გოგონათა ჩემპიონატში მესამე იყო. ამჯერად მან 9 თამაშიდან 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა, ჩემპიონი გახდა და ამრიგად 16 წლამდე გოგონების მსოფლიო პირველობაზე თამაშის უფლება მოიპოვა. 6,5 ქულით ქუთაისელი ინგა ჭარხალაშვილი მეორე ადგილზე გავიდა და ევროპის პირველობაზე ითამაშებს.

ჭაბუკებს შორის ცხრიდან 7 ქულა ერთბაშად ოთხმა მოჭადრაკემ დააგროვა. მათ შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. ნიკა შავთვალაძე (თბილისი), ითამაშებს მსოფლიო პირველობაზე შესაბამის ასაკში. 2. ოთარ ჯირკვალიშვილი (თბილისი), ითამაშებს ევროპის პირველობაზე, 3. ვალერი გაფრინდაშვილი (ქუთაისი). 4. დავით არუთინიანი (თბილისი).

# ჩილეს აზერბაიჯანი ამჯობინეს...

**ამას წინათ,** მოსკოვიდან გამოგზავნილ მასალაში „ლელოს“ იქაური კორესპონდენტი არკადი სმირნოვი გვატყობინებდა, რომ ჩილეს საფეხბურთო ნაკრების მესვეურებს სურვილი გამოუთქვამთ, შინ, საკუთარი ხარჯებით ამხანაგური მატჩი გამართონ რუსეთის, უკრაინის ან საქართველოს ეროვნულ გუნდებთან. ეს ინფორმაცია შევატყობინეთ კიდეც საქართველოს ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობას, მაგრამ ერთი მწვრთნელის ვლადიმერ პანოვის თქმით, მეტად დამქანცველია ერთი მატჩის გულისთვის ამხელა გზას დაადგე. სამაგიეროდ, მიღწეულია შეთანხმება მეზობლებთან – ჩვენები 12 აგვისტოს განჯაში აზერბაიჯანის ნაკრებს ეთამაშებიან. გუცაევი ამ მატჩისათვის ლეგიონერთა გამოძახებას არ აპირებს და თავის გამოჩენის საშუალებას მისცემს ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებს.

## რა ხდება ქვეყანაზე

● **„მე** იმათ მივეკუთვნები, ვისაც მსოფლიო რეკორდის დამყარება ძალუძს, და ვიმედოვნებ, ამას უახლოეს დროში შევძლებ“ – განაცხადა სიდნეიში ოლიმპიურმა ჩემპიონმა მარი-ჟოზე პერეკმა, ატლანტის თამაშების ოქროს მედლების მფლობელმა 200 და 400 მეტრებზე რბენაში. ფრანგი ქალიშვილი ახლა მწვანე კონტინენტზე ვარჯიშობს, მაგრამ ორგანიზატორთა მიწვევის მიუხედავად, უარი თქვა „გრან-პრიში“ მონაწილეობაზე. მას ხუმრობით უსაყვედურეს, რომ უბრალოდ ხომ არ შეეშინდა მსოფლიო ჩემპიონ კეტი ფრიმენის, მან უარჰყო ეს ვარაუდი და იმით იმართლა თავი, რომ მიწვევამ ძალიან დააგვიანა. რაც შეეხება 400-მეტრიან მანძილს, იგი თავის გვირგვინად მიაჩნია.

● **ამერიკული** სენატი წინ აღუდგა პრეზიდენტ კლინტონის ვეტოს 38 სამხედრო პროექტის განხორციელების შესახებ ფორტა დუგლაში, რომელშიც 2002 წლის თეთრი ოლიმპიადის სოფელიც შედის და იგი 12,7 მილიონი დოლარი ეღირება.

სენატორებმა 78 ხმით 20-ის წინააღმდეგ კენჭი უყარეს და მხარი დაუჭირეს ამ პროექტს, რომლის განხორციელება საერთო ჯამში 287 მილიონი დოლარი ეღირება.

ვარაუდობენ, რომ სპორტსმენთა საცხოვრებელ ოთახებს შემდეგ ყაზარმად გამოიყენებენ. მაგრამ ერთ-ერთი რესპუბლიკელის განცხადებით, შეიძლება ოლიმპიური სოფლის ფორტო დუგლასიდან სოლტ-ლეიკ-სიტიდან 40 კილომეტრის დაშორებით, კემპ უილიამსში გადაიტანონ, რაც საეჭვოა, რომ ეს გეგმა არმიას მოეწონოს.

# სექსი? რასა ბრძანებთ!



**32 წლის ინგლისელმა ქალმა ემა მორგანმა განქორწინება გადაწყვიტა. საქმე ისაა, რომ მის მეუღლეს, 36 წლის კევინს სხვა, უფრო დიდი სიყვარული ჰქონია – მას საფეხბურთო კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჰქვია.**

მეტის ატანა ემას აღარ შეუძლია. მისი მეუღლე საყვარელი გუნდის თამაშის არც ერთ ტელეტრანსლიაციას არ უშვებს. საშინაო მატჩებს კევინი წითელ საფირმო მაისურით უყურებს. და თუ „მანჩესტერი“ მინდორზე თეთრი მაისურებით გამოდის, კევინიც იცვლის მაისურს. ყველა მატჩს ფეხბურთზე გადამკვდარი კაცი ვიდეომაგნიტოფონზე იწერს და დღე-ღამეში ლამის 20 საათს შესცქერის ჩანაწერს. ცხადია, ყველა ტელერეპორტაჟს კევინი ზეპირად იმახსოვრებს. ღმერთმა ნუ ჰქნას მეუღლე და ორი ქალიშვილი კაცს დაელაპარაკოს. იგი შეშლილი თვალებით იყურება გარშემო და იწყებს ფეხბურთელთა გვარების ხმამაღლა დასახელებას. ახლა იმას არ იკითხავთ, როგორ გამოიყურება ფანატის ბინა? ყველა ოთახში კედლები მოთამაშეების სურათებითა და კლუბის ემბლემებითაა ავსილი.

როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ ერიკ კანტონა წავიდა, კევინი ბავშვივით ატირდა, ხოლო ემამ რომ გაყრაზე ჩამოაგდო სიტყვა, მეუღლეს ცრემლიც კი არ დასცვენია.

სექსი? რას ბრძანებთ. რამდენიმე წელია კევინს ამისთვის არ სცალია. მთელი ღამე უმუშევარი კაცი ტელევიზორს უცქერის, ხოლო დილით ემა სამსახურში მიდის. მეუღლეს ბავშვებიც თან მიჰყავს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქმარი პატარებსაც ფეხბურთის ყურებას აძალებს. როდესაც კევინს ეკითხებიან, რას სჩადიო, იგი ასე პასუხობს: „გაცილებით მიზიდავს „მანჩესტერ იუნაიტედის“ მატჩების ყურება, ვიდრე ცოლთან ყოფნა. ეს არცაა გასაკვირი. მას უფრო ნაკლებად ვიცნობ, ვიდრე გუნდს. ვიცი, რომ ბევრი იდიოტად მთვლის, მაგრამ მათ ვერ წარმოუდგენიათ, რაოდენ მიზიდავს ჩემი ცხოვრება. ეს ხომ უზომოდ საინტერესოა – თვალი ადევნო ჩემპიონობისათვის „მანჩესტერის“ პაექრობას „არსენალთან!“

# ნბა: ჰაკიმმა 24 ათასის ზღვარს გადააბიჯა

*„ჰიუსტონისა“ და „მინესოტას“ მატჩში ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა – მასპინძელთა გუნდის ვარსკვლავმა ჰაკიმ ოლაჯუონმა საფინალო სასტვენამდე 33 წამით ადრე სამქულიანი ტყო-*



*რცნით* ნბა-ს ისტორიაში მეთორმეტე კალათბურთელი აღმოჩნდა, ვინც 24 000 ქულის ზღვარს გადააბიჯა. აფრიკელი სპორტსმენი 35 წლისაა. „ჰიუსტონ როკეტსის“ ღირსებას 1984 წლიდან იცავს, ტეხასური კლუბის შემადგენლობაში ჩაატარა 1001 მატჩი. „მინესოტას“ წინააღმდეგ ოლაჯუონი 20 ქულით ყველაზე შედეგიანი კალათბურთელიც იყო. „ჰიუსტიონმა“ გაიმარჯვა 118:98.

***სხვა მატჩები:*** სან-ანტონიო – ტორონტო 97:98, იუტა – ფინიქსი 108:97, ვაშინგტონი – გოლდენ სტეითი 110:87, მაიამი – დალასი 91:97, ნიუ-ჯერსი – საკრამენტო 102:99, ნიუ-იორკი – მილუოკი 102:90.

## აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

| | თ. | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|---|
| მაიამი | 57 | 39 | 18 | 68,4 |
| ნიუ-იორკი | 55 | 32 | 23 | 58,2 |
| ნიუ-ჯერსი | 57 | 33 | 24 | 57,9 |
| ორლანდო | 56 | 24 | 27 | 51,8 |
| ვაშინგტონი | 57 | 29 | 28 | 50,9 |
| ბოსტონი | 56 | 26 | 30 | 46,4 |
| ფილადელფია | 54 | 18 | 36 | 33,3 |

ცენტრალური დივიზიონი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჩიკაგო | 58 | 42 | 16 | 72,4 |
| ინდიანა | 55 | 38 | 17 | 69,1 |
| ატლანტა | 56 | 33 | 23 | 58,9 |
| შარლოტი | 56 | 33 | 23 | 58,9 |
| კლივლენდი | 56 | 30 | 26 | 53,6 |
| მილუოკი | 56 | 28 | 28 | 50,0 |
| დეტროიტი | 55 | 25 | 30 | 45,5 |
| ტორონტო | 55 | 12 | 43 | 21,8 |

## დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იუტა | 54 | 38 | 16 | 70,4 |
| სან-ანტონიო | 56 | 38 | 18 | 67,9 |
| მინესოტა | 55 | 30 | 25 | 54,5 |
| ჰიუსტონი | 56 | 28 | 28 | 50,0 |
| ვანკუვერი | 56 | 14 | 42 | 25,0 |
| დალასი | 56 | 10 | 46 | 17,9 |
| დენვერი | 56 | 5 | 51 | 8,9 |

წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სიეტლი | 55 | 42 | 13 | 76,[illegible] |
| ლეიკერსი | 54 | 38 | 16 | 70,[illegible] |
| ფინიქსი | 55 | 37 | 18 | 67,[illegible] |
| პორტლენდი | 55 | 33 | 22 | 60,[illegible] |
| საკრამენტო | 55 | 24 | 34 | 41,[illegible] |
| გოლდენ სტეითი | 55 | 12 | 43 | 21,8 |
| კლიპერსი | 56 | 12 | 44 | 21,4 |






**თარაზულად:** 5. კრივში: დარტყმის შედეგად გონების დაკარგვა, 7. ახლო წარსულში „რომას“ და იტალიის საფეხბურთო ნაკრების ფეხბურთელი, 8. 70-იანი წლების ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, მცველი, 10. ტაისონის სახელი, 11. ახლო წარსულში სახელგანთქმული ჰოლანდიელი ფეხბურთელი, „ჩელსის“ ყოფილი მწვრთნელი, 12. შეჯიბრების დასაწყისი, 13. „კრისტალ პალასის“ და შვედეთის ნაკრების ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 18. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 20. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 21. იგი ცხადაძესთან ერთად გამოდიოდა „აინტრახტში“, 25. „ბაიერნის“ ფეხბურთელი, მცველი *(ფოტო)*, 26. „ასტონ ვილას“ და ავსტრალიის ნაკრების ფეხბურთელი, 28. ნბა-ს ვარსკვლავი ახლო წარსულში, 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, 30. სოკრატესის ძმა, 31. 1950 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ურუგვაელი ფეხბურთელი *(ფოტო)*, 36. „ბაიერნის“ მეორე სახელწოდება, 38. საუკუნის დასაწყისში ცნობილი ქართველი მოჭიდავე, 39. ჩემპიონთა თასის 5-გზის მფლობელი საფეხბურთო კლუბი, 40. „სკუადრა აძურას“ მეკარე, 41. 80-იანი წლების ცნობილი სომეხი სიგრძეზე მხტომელი, 42. საფარიკაო იარაღი, 43. ალპინისტის ფეხსაცმელი.

**შვეულად:** 1. 80-იან წლებში ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 2. ცნობილი ეთიოპიელი მორბენალი, 3. სპორტული ნაგებობა, 4. „დეპორტივოსა“ და ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი *(ფოტო)*, 6. „იუვენტუსისა“ და იტალიის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 7. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი, 9. ჩეხი საფეხბურთო მწვრთნელი, 14. ქართველი მეკარე, ამჟამად საფეხბურთო მწვრთნელი, 15. შვეიცარიელი ჩოგბურთელი ქალიშვილი, 16. მადრიდის „რეალისა“ და ესპანეთის ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელი, 17. დანიელი ფეხბურთელი, 1992 წლის ევროპის ჩემპიონი, 19. ნბა-ს სპონსორი ფირმა, 22. 70-იანი წლების ცნობილი პოლონელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 23. მძლეოსნობის იარაღი, 24. გფრ-ის ფეხბურთელი, 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 27. წარსულში სახელგანთქმული კუბელი დიდოსტატი, 29. ცნობილი პორტუგალიელი ფეხბურთელი, მცველი, 32. „იუვენტუსის“ მცველი *(ფოტო)*, 33. უკრაინის საფეხბურთო კლუბი, 34. წარსულში ცნობილი რუსი დიდოსტატი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი *(ფოტო)*, 35. პენალტი ჰოკეიში, 37. „ასტონ ვილას“ და ხორვატიის ნაკრების თავდამსხმელი.

შეადგინა დიმა ჯიჯელავამ (თბილისი)

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სოკერვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. ჯორკაეფი, 6. ქუესტრა, 8. ატალანტა, 11. შელია, 14. ვავა, 15. არტიმე, 16. სალასი, 17. ფალკაო, 21. მონტელა, 22. ერერა, 23. ემილი, 26. ბონაჩინა, 27. რონალდო, 28. ორიალი. **შვეულად:** 1. მორალესი, 2. ნესტა, 3. დესაი, 4. კანავარო, 7. განცი, 9. შირეა, 10. ტალიალატელა, 12. კრესპო, 13. ვეგა, 18. მორიერო, 19. ოტო. 20. მასინგა, 24. ტოლდო, 25. ნევიო.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი (თბილისი)



**შამათი 3 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. კh5!

1. ...მფ:f1 2. ეh1+ მფg2 3. კf3#

1. ...მფ:h3 2. ეh1+ მფg2 3. კf3#

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონ[illegible]